პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

26 თებერვალი, 1939 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო | ფასი 30 კაპ. № 7 (94).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბოლშევიკების მეთორმეტე ყრილობა

დღეს, 26 თებერვალს, შეიკრიბება საქართველოს კ. პ. (ბ) მე-12 ყრილობა, რომელიც გულმოდგინედ და საფუძვლიანად განიხილავს ამხანაგ **ვ. მოლოტოვის** და ამხანაგ **ა. ჟდანოვის** მოხსენებათა თეზისებს და აირჩევს დელეგატებს—**ლენინ-სტალინის** პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგულ ადამიანებს—საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე წარსაგზავნად.

ორდენოსანი საქართველოს ბოლშევიკები, მტკიცედ დარაზმულნი **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის დროშის ქვეშ, აღჭურვილნი ხალხის ნდობითა და სიყვარულით, თავიანთ მე-12 ყრილობაზე იკრიბებიან გატაცებულნი ერთი გრძნობით, ერთი მისწრაფებით — ერთხელ კიდევ ცხადჰყონ დიადი საბჭოთა ხალხის უმაგალითო პოლიტიკურ - მორალური ერთიანობა და მჭიდრო დარაზმულობა მშრომელთა ბელადის და მასწავლებლის ამხანაგ **სტალინის** გარშემო, ცხადჰყონ თავიანთი მძლავრი ნებისყოფა კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის, გამოავლინონ ძვირფასი წინადადებანი მესამე სტალინური ხუთწლედის წარმატებით განხორციელებისათვის და პარტიის წესდებაში საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ, კონკრეტული საქმეებით, ახალი წარმატებებით აღნიშნონ თავიანთი ყრილობა და გამარჯვებათა პატაკით წარსდგნენ საკ. კ. პ. (ბ) მე-18 ყრილობაზე.

როგორც კი გამოქვეყნდა თეზისები ამხანაგ **ვ. მოლოტოვის** მოხსენებისა პარტიის მე-18 ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და თეზისები ამხანაგ **ა. ჟდანოვის** მოხსენებისა საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, მთელს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე დაიწყო შრომითი ენთუზიაზმის ახალი, უფრო მძლავრი აღმავლობა. პარტიის მე-18 ყრილობისათვის მზადება საქართველოს ბოლშევიკებმა, ისევე, როგორც ყველგან ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში, ორგანიულად დაუკავშირეს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, საბჭოთა კულტურის მშენებლობის საბრძოლო ამოცანებს. საქართველოს კ. პ. (ბ) პირველადი პარტორგანიზაციების დახურულმა კრებებმა, რაიონულმა საქალაქო პარტიულმა კონფერენციებმა, რომელნიც ორგანიზაციულად და მაღალ-იდეური დონით ჩატარდნენ, საქართველოს ბოლშევიკების საქმიანმა გამოსვლებმა, მათმა წინადადებებმა და დამატებებმა, რომელნიც ეხებიან როგორც სახალხო მეურნეობის დაგეგმვის საკითხს, ისე პარტიის წესდებაში შესატან ცვლილებებს, ნათელჰყვეს პარტიული მასების პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა და აღმავლობა, უდიდესი ერთსულოვნება, ბოლშევიკური გატაცება, სიყვარული და ერთგულება **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი.

ამხანაგ **ვ. მოლოტოვის** და ამხანაგ **ა. ჟდანოვის** თეზისებში, ამ მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის უძვირფასეს დოკუმენტებში, ნათელი გამოხატულება ჰპოვეს იმ გრანდიოზულმა გამარჯვებებმა, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა სამშობლომ საკ. კ. პ. (ბ) მე-17 ყრილობის შემდეგ განვლილი ხუთი წლის მანძილზე. ის წლები, რომლებიც ჩვენმა სამშობლომ განვლო მე-17 ყრილობის შემდეგ, აღსავსეა ბრწყინვალე გამარჯვებებით, სასახელო საგმირო საქმეებით. სსრ კავშირი შევიდა თავისი განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანი გადასვლის ხანაში.

ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილად განხორციელდა მეორე ხუთწლიანი გეგმა, ისევე, როგორც პირველი. ძლევამოსილად განხორციელდა კოლექტივიზაციის სტალინური გეგმა. მეორე ხუთწლედში სსრ კავშირში გატარებულ იქნა ნამდვილი კულტურული რევოლუცია, რომელმაც ჩვენი ქვეყანა ყველაზე მოწინავე კულტურის ქვეყნად გადააქცია. ამისი ნათელი ილუსტრაციაა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურის აყვავება სსრ კავშირში შემავალ ხალხთა შორის, ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა საბჭოთა კავშირის სკოლები, მათ შორის რამდენიმე ათასი ახალი სკოლა, სადაც მრავალი მილიონი მოწაფე სწავლობს, უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა კედლებში იზრდებიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული ფრონტის მომავალი მეთაურები და რომლებშიაც მოსწავლეთა რიცხვი მეტია, ვიდრე სტუდენტთა რიცხვი ევროპის მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ერთად, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი თეატრები, რომელთა სპექტაკლებში გამოხატულია სტალინური ეპოქის ძლევამოსილება, გაზეთებისა და წიგნების უმაგალითო ტირაჟები, სამეცნიერო - საკვლევო ინსტიტუტები, მეცნიერებათა აკადემიის არჩევნები, რომელმაც დააწინაურა საბჭოთა მეცნიერების ახალი, საუცხოო კადრები, საბჭოთა ლიტერატურის ყველა ჟანრის ბრწყინვალე, მაღალ-ნიჭიერი ნაწარმოებნი, საბჭოთა კინოსურათები, რომელთა მაღალმხატვრულმა ღირსებამ და ბოლშევიკურმა იდეურობამ საბჭოთა კინემატოგრაფიას მოუპოვეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს მშრომელთა საყოველთაო აღიარება.

ისე, როგორც მთელს საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც შვიდმილიანი ნაბიჯებით მიდის წინ დიდების გზაზე საბჭოთა ლიტერატურა.

მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა უფრო ფართო და ნათელ გზებს უხსნის საბჭოთა მეცნიერებას და ტექნიკას, აყვავებულ საბჭოთა ხელოვნებას და ლიტერატურას.

უძლეველი და ფოლადისებურია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით შეიარაღებული, ბრძოლებში გამოწრთობილი ბოლშევიკური პარტია. სტალინური ზრუნვა მისი ორგანიზაციული ძლიერების უფრო მეტად განმტკიცებისათვის ნათლად გამოხატულია ამხანაგ **ა. ჟდანოვის** თეზისებში. ბოლშევიკური პარტია ფოლადისებური სიმტკიცით არის დარაზმული დიდი **სტალინის** გარშემო.

ხალხის მტრები — ფაშიზმის ტროცკისტულ-ბუხარინული ჯაშუშები და არამზადები ყოველგვარი ბინძური საშუალებით ცდილობდნენ დაესუსტებიათ პარტიის სიძლიერე, მაგრამ საბჭოთა ხალხმა ამხილა ისინი და დაუნდობლად გაანადგურა.

საბჭოთა ხალხმა აღგავა პირისაგან მიწისა ფაშისტურ მზვერავთა ბანდები და მომავალშიც დაუნდობლად გაანადგურებს ყველას, ვინც ოქტომბრის უძვირფასეს მონაპოვართა ხელყოფას განიზრახავს.

საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც განუხრელად იყო, არის და იქნება ერთგული ლენინურ - სტალინური ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ხალხთა ბრძენი ბელადის დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, რომლის რიგები გამოაწრთო და განამტკიცა **სტალინის** საუკეთესო მოწაფემ, საქართველოს საამაყო შვილმა ამხანაგმა **ლავრენტი ბერიამ,** თავის მე-12 ყრილობას ხვდება ძლიერი, გამარჯვებული, მტკიცედ და მჭიდროდ დარაზმული **ლენინ-სტალინის** დიადი დროშის ქვეშ.

მოსკოვი, კრემლი

ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის მე-21 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-18 წლისთავისადმი, — მხურვალე სალამს გიძღვნის თქვენ, სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდ და ბრძენ ბელადს, მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის გამარჯვებათა ორგანიზატორს.

ლენინთან ერთად თქვენ, ამხანაგო **სტალინ,** შექმენით პროლეტარული რევოლუციის უძლეველი არმია, რომელმაც უჭკნობი დიდებით შემოსა თავისი ისტორიული გზა.

წითელი არმიის ბრწყინვალე გამარჯვებანი ყველაზე საბრძოლო, რევოლუციისათვის ყველაზე საშიშ ფრონტებზე განუყრელად დაკავშირებულია თქვენს სახელთან, პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლების გენიალური სტრატეგის სახელთან.

უძლეველია ჩვენი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელნიც აღზრდილი არიან ვაჟკაცობისა და სიმამაცის, მაღალი დისციპლინისა და პოლიტიკური შეგნებულობის ტრადიციებზე, აღჭურვილი არიან საუცხოო საბრძოლო ტექნიკით, შეიარაღებული არიან **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი ყოვლისმძლე იდეებით.

ამხილეს და მოსპეს რა ჯაშუშთა და სამშობლოს მოღალატეთა ბანდა, გასწმინდეს რა თავისი რიგები ფაშიზმის აგენტებისაგან. — წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი გახდნენ კიდევ უფრო მტკიცე, კიდევ უფრო მონოლიტური, ისინი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის გარშემო.

სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო - საზღვაო ფლოტი წარმოადგენენ სოციალიზმის საქმისათვის, **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისათვის მებრძოლთა 170-მილიონიანი მძლავრი არმიის მოწინავე შეიარაღებულ რაზმს.

ჩვენ გვახსოვს და არასოდეს არ ვივიწყებთ თქვენს ბრძნულ მითითებებს კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ და განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, წითელი ფლოტი, წითელი ავიაცია, თავდაცვა - ავიაქიმი, რომ საჭიროა მთელი ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში სამხედრო თავდასხმის საფრთხის წინაშე, რათა ვერავითარმა „შემთხვევითობამ“ და ჩვენი გარეშე მტრების ვერავითარმა ოინებმა ვერ მოგვისწროს მოუმზადებელს.

ლენინ-სტალინის პარტიის ისტორიული XVIII ყრილობისათვის მზადების დიად დღეებში მთელი ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი ხალხი სიხარულით აჯამებენ სოციალიზმის მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის მქონე სახელოვან გამარჯვებებს. თვითეული ჩვენგანი თავისი მუშაობის უბანზე მიისწრაფვის ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობას.

წითელი არმია და წითელი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობას ხვდებიან საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ახალი წარმატებებით.

მუდამ გვახსოვს რა თქვენი სახელი, სოციალისტური სამშობლოსადმი და თქვენდამი, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო ბელადო და მასწავლებელო, უსაზღვრო სიყვარულით აღფრთოვანებულნი, ჩვენ გამანადგურებელი დარტყმით ვუპასუხებთ ომის გამჩაღებელთა დარტყმას და მოვსპობთ მტერს მისსავე ტერიტორიაზე.

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან, უძლეველ მუშურ-გლეხურ წითელ არმიასა და წითელ ფლოტს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და წითელი ფლოტის შემომქმედსა და ორგანიზატორს—საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს პროლეტარული რევოლუციის დიად გენიოსს, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, მშობლიურ, დიდ **სტალინს!**

თბილისის მუშათა. გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს საზეიმო პლენუმი

23 თებერვალს, საღამოს, ოპერის თეატრში შესდგა თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმი პარტიული, საბჭოთა, სამხედრო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. თეატრის იარუსები, სცენა და პარტერი მორთულია ალისფერი არშიებითა და ლოზუნგებით.

— გაუმარჯოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავს!

— გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულ ძალას!

საზეიმოდ მორთულ სცენას ამშვენებს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის და მისი უახლოესი მოწაფეებისა და თანამებრძოლების ამხანაგების — ვოროშილოვისა და ბერიას პორტრეტები. წინ სცენის გასწვრივ წარწერაა:

— გაუმარჯოს დიდ სტალინს!

სცენაზე არიან ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ფ. მახარაძე, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, ი. ტიულენევი, ა. რაფავა, ს. ხოშტარია, ს. იშხანოვი, ი. კოჭლამაზაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, გ. კიკნაძე, მ. ჩუბინიძე, ა. კვაჭაძე, გ. გოჩაშვილი, ე. ჩერქეზია, ვ. სიხარულიძე, ბ. არუთინოვი, ე. მაზანაშვილი, ი. სვანაძე, ა. მირცხულავა, პროფ. ა. მაჭავარიანი, პროფ. ა. ჯანელიძე;** პოეტები— **ა. აბაშელი** და **ხ. ეული, ა. ხორავა, ან. წიკლაური, ა. ჯორბენაძე, თ. როსტომაშვილი, გ. ელისაბედაშვილი, ვაცეკი** და სხვ.

საზეიმო პლენუმი გახსნა თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობათა აღმსრულებელმა **ი. კოჭლამაზაშვილმა.**

— წინადადებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. მ. ჩუბინიძეს,- გამოაცხადა თავმჯდომარემ.

— წინადადება შემომაქვს ჩვენი საზეიმო პლენუმის საპატიო პრეზიდიუმში ავირჩიოთ ხალხთა მამა და ბელადი, რომლის ყოველდღიური ხელმძღვანელობით აყვავდა და აღორძინდა საბჭოთა საქართველო, ავირჩიოთ დიდი ლენინის უკვდავი საქმის გამგრძობი

ამხანაგი სტალინი.

დიდი ბელადის სახელის ხსენებისას დარბაზში იგრიალა ტაშმა, რომელიც ხანგრძლივ ოვაციაში გადავიდა. მოისმის ძახილი დარბაზის ყოველი კუთხიდან: „გაუმარჯოს ხალხთა მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!“, „გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!“. შეძახილებისა და ტაშის ხმაურში იფარებოდა ორკესტრის საზეიმო გუგუნი.

ერთსულოვანი ტაშით შეხვდა ხალხით გაჭედილი დარბაზი საპატიო პრეზიდიუმში ამხანაგების — **მოლოტოვის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, კალინინის, ანდრეევის, ჟდანოვის, მიქოიანის, ხრუშჩოვის, ეჟოვის, ბერიას, დიმიტროვის, ტელმანის** და **ხოზე დიასის** დასახელებას.

შემდეგ პლენუმზე ვრცელი მოხსენებით მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის 21 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 18 წლისთავის მნიშვნელობის შესახებ გამოვიდა არმიის მეორე რანგის სარდალი ამხ. ი. ტიულენევი. საათზე მეტ ხანს გაგრძელდა ეს მოხსენება, რომელსაც მსმენელები ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშითა და ამხანაგ **სტალინისადმი** მიმართულ მისალმებათა შეძახილებით.

შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო წინადადებები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისათვის,** წითელი არმიის ხელმძღვანელის და ჩვენი თავდაცვის სახელოვანი სახალხო კომისრის ამხანაგ **ვოროშილოვისათვის** და ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საბჭოთა დაზვერვის ხელმძღვანელის ამხანაგ **ბერიასათვის** მისასალმებელი დეპეშების გაგზავნის შესახებ.

ამით დამთავრდა საზეიმო სხდომა, რის შემდეგაც გაიმართა დიდი კონცერტი.

წერილი კოლხეთიდან ლავრენტი ბერიას

ვასო გვეტაძე

ჩვენ ებრაელებს რა გვქონდა წინად,
სისხლიან წარსულს ვერ გავუძელით;
ჩვენი მამები მიწამ გაჰყინა,
ჩვენ გვითელია მანძილი გრძელი.

სად არ გვივლია, რომელი მხარე...
გზებზე მშობლების ძვლები ეყარა,
მაშინ საწყლებმა ვერ გავიხარეთ,
ველარ მოვნახეთ მკვიდრი ქვეყანა.

არვის ესმოდა ჩვენი ვედრება,
ჩვენი ცრემლები, გულის იარა,
ველარ ვიპოვეთ ბედნიერება,
მიწა, სამშობლოს ზეცა კრიალა...

დღეს კი გაშლილა მხარე ბრწყინვალე,
ხალხმა მყინვარიც შეაჟრიალა,
აი, გაუჩნდა ცეცხლი მყინვარებს
და ჩვენს თვალებშიც გზნებამ იალა.

კოლხეთს წინათ რომ შმორი აღრჩობდა
და ჭაობები დაუშრობელი,
ჰქუხდა რიონი ვიწრო ჩარჩოდან,
იყო ბუნებაც დაუნდობელი, —

დღეს მზე უცინის, — ჩანს ამწვანებულ
გაზაფხულივით დაუჭკნობელი,
რა დღე იშლება, ხალხს გალაღებულს
რა მზე დაგვნათის ჩაუქრობელი.

შენ მოგვაშორე ბინდები ღამის,
დარგე, ახარე, ვარდები მწვანე
შენ მოგვაშორე წარსულის შხამი,
და ახალ მზეში გამოგვიყვანე.

შენ ჩვენთანახარ, ახალ განთიადს —
ბელადის სიბრძნეს დაწაფებული,
ყველგან გმირობის ცეცხლი ანთია
სტალინის აზრით განათებული.

ხალხს თავისუფალს გვალხენ, გვალაღებ,
ყველგან გვჭირდება შენი მარჯვენა,
ნაჭაობარზე აგებ ქალაქებს,
მიწას მეორედ არგებ გაჩენა.

წამოვიმართეთ მართლაც მთებურად,
ვართ სიხარულით სავსე ყელამდი,
დიდი სტალინის მზით ანთებულა
ჩვენი დროშები ალისფერადი.

დიდება იმ კაცს ვინც მოგვცა ლალი
მიწა, ცხოვრება, სამშობლო, ბინა,
ახლად დაგვბადა და ზეცის თალი,
თავზე სხივებად გადმოგვაფინა.

დიდება იმ კაცს, ვინც ყოველ ბავშვის —
უმანკო გულშიც მზესავით ელავს,
დიდება დიად კობა ჯუღაშვილს,
დიდება ბელადს.

ის არის ჩვენი გრძნობა და აზრი,
ჩვენი მარჯვენა — ფიქრი მართალი,
მტრისთვის მახვილი პირგანაბასრი,
წითელდროშოვან ქვეყნის სარდალი.

სიმღერა სამშობლოზე

ალ. აბაშელი

ბრწყინავს, როგორც ნატვრის თვალი,
ჩვენი ქვეყნის მთა და ბარი —
მრავალ ჭირთა ნატვირთალი,
დღეს დოვლათით გულდამტკბარი.

გაზაფხულის ფერად ყვავილთ
ვხედავთ ნაცვლად ნარ-ეკალთა.
სავსე არის ოქროს ხვავით
ჩვენი მიწის მწვანე კალთა.

მზით გამთბარი შავი ზღვიდან
პაპანინის კარავამდე
გმირობა და შრომა ზრდიდა
ჩვენი ქვეყნის შარავანდედს.

გაივსო და გაიზარდა
ბედნიერი მხარე ჩვენი.
ვდგავართ გაშლილ დროშის ტართან
სიხარულით გულსავსენი.

შავარდნების მაღალ ბუდეს
ვერ მისწვდება აფთრის ბრჭყალი
გარს გვავლია რკინის ზღუდე
ვერაგ მტრისთვის შეუვალი.

და მზეც თითქოს სხივს უმატებს
ჩვენს ცაზე რომ ალამს გაშლის
და სიამით გზას უნათებს
თავისუფალ ხალხთა კავშირს.

ბრწყინვალე თარიღები

საბჭოთა საქართველოს მშრომელი ხალხი აღნიშნავს ორს ისტორიულ წლისთავს.

თვრამეტი წლის წინად ბოლო მოეღო ქართველი ხალხის ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას, ხოლო 21 წლის წინათ წარმოიშვა განთავისუფლებულ მშრომელთა პირველი არმია მთელს მსოფლიოში.

ქართველი ხალხის ისტორიამ ერთიმეორეს მჭიდროდ დაუკავშირა ეს ორი თარიღი. თვალს ავლებს რა ეკონომიკისა და კულტურის სფეროში მოპოვებულ უდიდეს მიღწევებს, ქართველი ხალხი უღრმესი მადლობის გრძნობით იგონებს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ქართველი ხალხის განთავისუფლების საქმეში მიუძღვის მუშურ-გლეხურ წითელ არმიას.

წითელი არმია იყო ის დიადი ძალა, რომელიც პირველ მოწოდებისთანავე მიეშველა შინაური ექსპლოატატორებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ მუშებსა და გლეხებს.

ეს მოხდა თვრამეტი წლის წინად. აქედან იწყება ქართველი ხალხის მეორედ დაბადება. ამ თარიღიდან იწყება ჩვენი მეურნეობის, ჩვენი კულტურის აღორძინება, მშრომელი მასების კეთილდღეობის შეუჩერებელი აღმავლობა. თუ თვრამეტი წლის წინად, როცა ქართველმა ხალხმა მონობის მძიმე უღელი გადაიგდო, სოციალიზმის ბრწყინვალე და ძლიერი შენობა მოსჩანდა როგორც დიადი, წარმტაცი პერსპექტივა, დღეს სოციალიზმი საბჭოთა საქართველოში, როგორც ყველგან ჩვენს დიად სამშობლოში, რეალური სინამდვილეა. სოციალიზმი შევიდა ქართველი ხალხის ყოველდღიურ შრომასა და ყოფაში.

სოციალიზმის ეს ძლიერი შენობა ემყარება ისეთ მტკიცე და მყარ საფუძველს, როგორიც არის სოციალისტური ინდუსტრია და მიწათმოქმედება. საქართველო მოიფინა ინდუსტრიული კერებით, ქარხნებით, ფაბრიკებით, ელექტროსადგურებით, დაისერა გზატკეცილებით და რკინიგზის ლიანდაგით, მოიფინა ციტრუსოვანი, სუბტროპიკული პლანტაციებით, ხეხილის ბაღებით, ვენახებით. იმატა მუშისა და გლეხის შემოსავალმა, გამრავლდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, აღიზარდნენ სოციალისტური შრომის ადამიანები, ინდუსტრიული და საკოლმეურნეო შრომის სტახანოველები. ამაღლდა მასების კულტურული დონე. სასწავლო ასაკის მთელი ახალგაზრდობა თავმოყრილია პირველდაწყებით სკოლებსა, ტექნიკუმებსა, უმაღლეს სასწავლებლებში. ცოდნას იძენენ და თავიანთ კვალიფიკაციას ამაღლებენ მუშათა და გლეხთა წრიდან გამოსული ის ადამიანები, რომელთაც ძველი რეჟიმის პირობებმა საშუალება მოუსპეს მიეღოთ ცოდნა და ზიარებოდნენ კულტურას.

სოფლად მომუშავე დაწესებულებებმა, ქოხ-სამკითხველოებმა, ამბულატორიებმა, საავადმყოფოებმა, რაიონულმა გაზეთებმა, რადიომ მოსპეს სოფლის კულტურული ჩამორჩენილობა და დაუახლოვეს სოფლის ცხოვრება სოციალისტური ქალაქის ცხოვრებას. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციამ მრავალ სფეროში კოლმეურნე გლეხის შრომა ინდუსტრიულ შრომას გაუთანაბრა.

ეს გოლიათური ნაბიჯი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისკენ საბჭოთა საქართველომ გადადგა განსაკუთრებით იმ წლებში, როცა სოციალისტურ მშენებლობას ჩვენში ხელმძღვანელობდა ქართველი ხალხის საამაყო შვილი, გამოჩენილი სტალინელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია.** სწორედ ამ წლებში მიიღო საბჭოთა საქართველომ უმაღლესი ჯილდო— ლენინის ორდენი, გახდა იგი [illegible] მოწინავე რესპუბლიკა მოძმე რესპუბლიკებს შორის.

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოების არჩევნების დროს, რომელიც ჩატარდა თავისუფლების დიადი ქარტიის — სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, მასებმა სრული ერთსულოვნებით, უდიდესი აღფრთოვანებით მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ამით გამოამჟღავნეს თავიანთი უსაზღვრო ნდობა და სიყვარული ლენინ-სტალინის პარტიისადმი, სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორის, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.** 1937 წლის 12 დეკემბრის და 1938 წლის 12 ივნისის არჩევნებმა დაანახვეს მთელს მსოფლიოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უძლიერეს დასაყრდენს წარმოადგენს მშრომელი ხალხი.

საქართველოს მშრომელთა მორალური და პოლიტიკური მთლიანობა გამარჯვებული სოციალიზმის წარმატებათა უდიდესი შეჯამებაა. ის არის შედეგი იმ ბრძოლისა, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩაატარა ჩვენმა ხალხმა რევოლუციისა და სოციალიზმის მოსისხლე მტრებთან, მსოფლიო იმპერიალიზმის და ფაშიზმის ჯაშუშ აგენტებთან — მენშევიკებთან, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებთან, გარეწარ ტროცკისტთა და ბუხარინელთა ბანდებთან.

ამ არამზადათა და მზაკვართა განადგურებით ჩვენმა მშრომელმა ხალხმა დაამტკიცა თავისი უდიდესი პატრიოტიზმი. საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმი გადაიქცა დაუშრეტელი ენთუზიაზმის, მასობრივი გმირობის წყაროდ. ეს პატრიოტიზმი სჩანს იმ უსაზღვრო სიყვარულში, რომელსაც საბჭოთა ხალხები იჩენენ ჩვენი დიადი სამშობლოს მიწა-წყლის, მისი საზღვრების ერთგული და თავდადებული გუშაგის გმირულ წითელ არმიისადმი. საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს წითელი არმიის მებრძოლების, მეთაურების, კომისრების და პოლიტმუშაკების იმ საარაკო სიმამაცეს და ვაჟკაცობას ხასანის ტბასთან, რომელმაც მტერს დაანახვა საბჭოთა პატრიოტიზმის დაუთრგუნავი ძალა და წითელი არმიის ერთგულება იმ სახელოვანი ტრადიციებისადმი, რომლებიც მუშურ-გლეხურ არმიას მოსდევენ სამოქალაქო ომის წლებიდან და რომელთათვისაც მას ერთი წუთითაც არ გადაუხვევია თავისი არსებობის 21 წლის მანძილზე.

ბედნიერია ჩვენი სამშობლო

დავით გაჩეჩილაძე

ისევ ზეიმობს დღეს საქართველო
და ამღერებულ მის გულში თბილა.
მაშ გამარჯვება თვრამეტო წელო,
და მეცხრამეტე თებერვლის დილავ.

დილავ, ოქტომბრის დროშით რომ მოხველ
და გადმოადექ კავკასს ნათელო,
დილავ, სიმართლე რომ აამბობე
და გამოიხსენ შენ საქართველო,

დილავ, ანთილო ალისფერ დროშით,
გაჰქრა დრო ბნელი და ბობოქარი,
ვით ქარის ხმაში, ტალახში, თოვლში
ცხენის ჭიხვინი და ნაფლოქვარი...,

დიდხანს ვებრძოდით, დიდხანს ვიგერით,
მტერს ჩვენი რისხვა ემახსოვრება...
ახალ ცხოვრებით ავასიმღერეთ
მტრით დაფარული ქართლის ცხოვრება.

აი, რამდენი წელი გავიდა
და ცამ რამდენჯერ თოვლი დაჰყარა,
თითქოს ცხოვრებას იწყებს თავიდან,
გმირს არ ემჩნევა, მაინც ჭაღარა.

თვრამეტი წელი, ეს თითქო ერთი
ამოსუნთქვაა ვეფხვისა მძლავრად.
გმირო, სამშობლოს მიწას რომ ეტრფი.
დღეს გამარჯვება შენ მოგაქვს ძღვნად.

მოგაქვს სიკეთის და ბრძოლის მცნება,
მგზნებარე გულით სტალინის სახე,
მოგაქვს სიცოცხლე, დიდება, ქება...
შენ თვალშეუწვდენ მწვერვალზე ახველ.

და ფრთებგაშლილი, ვით ფარშავანგი,
ცილან დაჰყურებს თებერვლის დილა;
დღეს დაგუგუნებს პოეტის ჩანგი,
ჩვენი ხალისით რომ განწყობილა.

და ამ ჟღერაში, მერცხლები ლხენით
ჩვენსკენ ჰქრიან და ლაჟვარდს უვლიან...
დღეს საქართველო, სამშობლო ჩვენი,
კავკასის მთებთან — გაზაფხულია.

გაზაფხულია ჩვენი სამშობლო,
პონტოდან თოვლის მწვერვალებამდი.
ჩვენ იმ გაზაფხულს ვერ დაგვაშორონ,
ჩვენთვის რომ ჰქმნიდა დიდი ბელადი.

გორის ციხესთან დღეს მტკვარიც ლაღად
მისჩქეფს, უმღერის არწივის აკვანს...
შორს, ქართლსაც მისწვდა და აამაღლა
სხივმა, მოსულმა ბელადისაგან.

სამშობლოს ველებს ვით დამამშვენი
ხალხის გმირობა ზედ აწერია.
არ დაივიწყებს სამშობლო ჩვენი
მას რა ამაგიც დასდო ბერიამ,

წინ რომ გაგვიძღვა მან, სტალინელი,
ბალავ ბელადის ფიქრით ამსახველი.
ბელადის სიბრძნით, გამოცდილებით,
ახალ ცხოვრების გავხდით მნახველი.

ჰო და, ზეიმობს დღეს საქართველო,
იქუხე ლენინის აბობოქრებავ...
მაშ გამარჯვება თვრამეტო წელო
და მეცხრამეტედ მერცხლის მოფრენავ!

მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის 1939 წლის გამომცემლობის გეგმა

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობამ 1938 წლის განმავლობაში გამოსცა 54 სახელწოდების წიგნი მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან საერთო მოცულობით 651 ფორმა, 71.952 ცალი.

მიმდინარე წლის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 70 სახელწოდების წიგნის გამოცემა (899 ფორმა, 66.350 ცალი) აქედან მთავარი ადგილი დაეთმობა აკადემიკოს ნიკო მარრის სახელობისა ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომებს; ამ ინსტიტუტის ხაზით გამოიცემა 31 სახელწოდების წიგნი (32.000 ც.) აქედან ღსანიშნავია: დოც. გ. ბერძენიშვილის — „ურარტუს ძეგლები" ბასილ ეზოსმოძღვრის — „თამარ მეფის ისტორია", ვ. ეგნატაშვილის — „ახალი ქართლის ცხოვრება", ორივე აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, დოც. ვ. ბარდაველიძის და დოც. გ. ჩიტაიას — „ქართული ორნამენტები" ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე პროფ. ს. ჯანაშიას რედაქციით, პ. ინგოროყვას — „სვანეთის ისტორიული საბუთები" და სხვა. გარდა ამისა, გამოცემული იქნება მათემატიკური ინსტიტუტის, აბასთუმნის ობსერვატორიის, გეოფიზიკური ინსტიტუტის, ქიმიური ინსტიტუტის და აკადემიის ფილიალში შემავალ სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო ნაშრომები.

ორი წელი სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალებიდან

სერგო ორჯონიკიძე

ორი წლის წინათ დიდი **სტალინის** სახელოვან თანამებრძოლთა რიგებს სიკვდილმა გამოჰგლიჯა სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მშენებელი, გამოჩენილი ბოლშევიკი **სერგო კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე.**

ბოლშევიზმის გმირულ მატიანეში სამარადჟამოდ არის აღბეჭდილი ამ დიდი ადამიანის უკვდავი სახელი. იატაკქვეშეთის გმირულ ბრძოლებში ცარიზმისა და კონტრრევოლუციონური დროებითი მთავრობის წინააღმდეგ, მძაფრ სამოქალაქო ომის ფრონტზე, აღდგენითი პერიოდის დაძაბულ წლებში და სტალინური ხუთწლედების ბრწყინვალე გამარჯვების ეპოქაში **ლენინ-სტალინის** პარტიის სახელოვანი შვილი, გამობრძმედილი სტალინელი **სერგო ორჯონიკიძე** იდგა ყველგან მოწინავე პოზიციაზე. ამ ადამიანის პიროვნებაში შეხამებული იყო გამჭრიახი პოლიტიკური ხელმძღვანელისა და უდიდესი, ნამდვილი ბოლშევიკური სამეურნეო მუშაკის ნიჭი.

უსაზღვროდ დიდია **სერგო ორჯონიკიძის** ღვაწლი და თავდადება. მრავალერიან კავკასიის ხალხთა დარაზმვა **ლენინ-სტალინის** უძლეველი დროშის ქვეშ, მე-11 არმიის განმტკიცება, დენიკინის თეთრგვარდიელთა ბანდების განადგურება, ასტრახანისა და ვოლგის მიდამოების თავდადებული დაცვა, აზერბაიჯანელ, ქართველ და სომეხ ხალხთა განთავისუფლება მონობის მძიმე უღლისაგან, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ჩამოყალიბება და მოძმე ხალხთა შორის სტალინური მეგობრობის განმტკიცება, — რევოლუციის ისტორიის ეს ბრწყინვალე ფურცლები განუყრელად არის დაკავშირებული **სერგო ორჯონიკიძის სახელთან.**

საბჭოთა ხალხის საყვარელი შვილი **სერგო ორჯონიკიძე** თვალისჩინივით უფრთხილდებოდა **ლენინ-სტალინის** პარტიის მონოლიტურ მთლიანობას. იგი ტროცკისტულ-ზინოვიევურ-ბუხარინულ ბანდების წინააღმდეგ მიმართული რისხვა იყო. 1926 წელს პარტიამ **სერგო ორჯონიკიძე** სათავეში ჩაუყენა ფრიად საპასუხისმგებლო ფრონტს — პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიას. ამავე დროს იგი სათავეში ჩაუდგა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს. ხალხის, პარტიის და პირადად ამხანაგ **სტალინის** ნდობა ამხანაგმა სერგომ სავსებით გაამართლა.

1930 წელს პარტიამ **სერგო ორჯონიკიძეს** დაავალა სოციალისტური ინდუსტრიის ხელმძღვანელობა. ამ ფრონტზე რევოლუციის ეს უდიდესი მუშაკი გამარჯვებიდან გამარჯვებას აღწევდა. დიდი ჭკუა, ცხოვრების უდიდესი გამოცდილება, შეუდარებელი ორგანიზატორული ნიჭი მთელი ბრწყინვალებით გამოაშკარავა ინდუსტრიის ხელმძღვანელობის საქმეში.

დაუცხრომელი, უდიდესი შემოქმედებითი დაძაბულობით და ბოლშევიკური გატაცებით ზრუნავდა სერგო ჩვენი დიდი და უძლეველი სოციალისტური სამშობლოს აყვავებისათვის. ბრძოლა და შრომა იყო მისი სტიქია. მან არ იცოდა დაღლა, იგი უშიშარი იყო ბრძოლაში. მას მხურვალედ უყვარდა ხალხი, სწამდა მისი ძალა და ძლიერება. მასების ცოდნა; მასებთან ლაპარაკი, ხალხის მოთხოვნილებათა და საჭიროების შეგრძნების უდიდესი უნარი, ამ საჭიროებაზე სტალინური ზრუნვა — **სერგო ორჯონიკიძის** განუყრელი ბოლშევიკური თვისება იყო. მისი რაინდული გულის ძგერა ორგანიულად იყო დაკავშირებული ხალხის, პარტიის გულის ძგერასთან.

სერგო ორჯონიკიძის სახელი და ხსოვნა გვასწავლის — თუ როგორ უნდა მუშაობა, ბრძოლა და გამარჯვება **ლენინ-სტალინის** უძლეველი და უწმინდესი საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ზინაიდა ორჯონიკიძის მოგონებიდან

ბოლშევიკური პარტია ემზადებოდა მეექვსე ყრილობის მოწვევისათვის. მზადებას, როგორც შემდეგ თვით ყრილობას, ხელმძღვანელობდა ამხანაგი **სტალინი.**

სტალინის დავალებით სერგო უნდა წასულიყო რაზლივში **ვლადიმერ ილიას-ძესთან.** ამის შესახებ მე არ ვიცოდი. დილით, მორიგ მიტინგზე რომ მიდიოდა, სერგომ მითხრა:

— დავბრუნდები ხუთზე. ერთად წავიდეთ სასადილოდ.

სერგო წავიდა. შესრულდა ხუთი საათი, შემდეგ რვა, ათი. დაღამდა. მე რომ დავიძინე, სერგო ჯერ მოსული არ იყო.

საჭირო იყო საჭმლის საყიდლად წასვლა. რომ დავბრუნდი, სერგო სახლში დამხვდა. იგი პალტოთი იჯდა. ტანსაცმელი დასრესილი ჰქონდა, შარვალზე ხმელი ბალახი შერჩენოდა.

— სად იყავი? — შევეკითხე — მე მეგონა, დაგაპატიმრეს.

სერგომ დამშვიდებით მიპასუხა.

— **ლენინთან** ვიყავი...

უფრო გვიან სერგომ თვითონ აღწერა თავის წასვლა **ლენინთან...**

1917 წლის სექტემბრის დამდეგს სერგო გაგზავნილ იქნა ტფილისში. მეც თან წავყევი. სერგოსთან ერთად ვიყავით მის სამშობლოში — სოფელ ღორეშაში. აქ იგი ცოტახანს დარჩა. პარტიული მუშაობა მოითხოვდა მის ყოფნას ტფილისში, და იგი მალე წავიდა იქ. მე დავრჩი მისი ნათესავების ოჯახში. რამდენიმე ხნის შემდეგ სერგო დაბრუნდა ტფილისიდან და განაცხადა, რომ სასწრაფო საქმეები მოითხოვენ მის დაუყოვნებლივ გამგზავრებას პიტერში. მე უნდა დავრჩენილიყავი ღორეშაში.

დიდი სოციალისტური რევოლუციის მოხდენამდე სამი დღით წინ სერგომ მომწერა კურსკიდან:

„ხვალ დილით ვიქნები მოსკოვში, ზეგ პიტერში და შეუდგები საქმეს. დღეს ძალიან ხალისზე ვარ: ვაგონში მთელ დღეს ვანადგურებდი ერთ მენშევიკს. თავს ჩინებულად ვგრძნობ".

1918 წლის 2 იანვარს ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით სერგო დანიშნული იქნა უკრაინის რაიონის დროებით საგანგებო კომისრად.

საქართველოდან ჩავედი პეტროგრადში და სერგო იქ აღარ დამხვედრია — ის უკრაინაში იყო.

დილით წავედი სმოლნიში. მისაღებ ოთახში ირეოდნენ მეზღვაურები და ჯარისკაცები წითელი ხელსახვევებით.

სტალინმა მიმიღო თავის კაბინეტში და მასთან ერთად ავტომობილით წავედით ალილუევების ბინაში. მე პირველად მივდიოდი ავტომობილით. მახსოვს, ჩვენი მანქანა ჩაეფლო ღრმა თოვლში. ჩვენ ჩამოვედით ავტომობილიდან და ფეხით წავედით.

სტალინმა შემიყვანა პატარა ოთახში, იქ იდგა ტახტი, საწერი მაგიდა და რამდენიმე სკამი.

მოუსხედით მაგიდას ჩაის დასალევად. **სტალინი** მიამბობდა იმის შესახებ, რომ სერგო შეყვანილ იქნა ბოლშევიკების პეტროგრადის კომიტეტის შემადგენლობაში, ეწეოდა დიდ მუშაობას კორნილოვთან და კერენსკისთან საბრძოლველად, ახლა კი გაგზავნილია უკრაინაში.

მეორე დღეს მივიღე **სტალინის** წერილი სერგოსადმი და გავემგზავრე ხარკოვში, სადაც სერგო უკვე ელოდა **სტალინის** დირექტივებს.

ქართველი საბჭოთა მწერლები მოსკოვში

10 თებერვალს გაემგზავრნენ ტფილისიდან მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიერ ორდენებით დაჯილდოებული მწერლები: **შ. დადიანი, ლეო ქიაჩელი, გ. ლეონიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, დ. შენგელაია, ი. აბაშიძე, ს. კლდიაშვილი, ა. მაშაშვილი, ს. შანშიაშვილი.** 13 თებერვალს, დღის 3 საათზე ჩავიდნენ ისინი მოსკოვში.

ქართველ მწერლებს კურსკის სადგურზე შეხვდნენ საკავშირო მწერალთა კავშირის წარმომადგენლები — ლეონიდ ლეონოვი, მწერალთა კავშირის ქართული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ვ. გოლცევი, პოეტი ქ. ლიპსკეროვი, ფევრალსკი, ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები და სხვ.

მოსკოველი მწერლები მხურვალედ მიესალმნენ მოძმე თანამოკალმეებს, მიულოცეს მათ საპატიო დაჯილდოვება.

ორდენოსანმა დრამატურგმა შალვა დადიანმა მოსკოვის პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ძნელია შევაფასოთ ჩვენი მთავრობის ამ აქტის უდიდესი მნიშვნელობა ერთიანი საბჭოთა ლიტერატურისა და კერძოდ საქართველოს ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში. ქართველი ხალხი და მისი ლიტერატურა უდიდეს დღესასწაულს ვანიცდიან. ეს დღესასწაულია მთელი საბჭოთა ხალხისა, მთელი საბჭოთა ლიტერატურისა, რომლის მთლიანობაც განუყოფელია".

მეორე დღეს ქართველი მწერლები ეწვივნენ საკავშირო მწერალთა კავშირის სამდივნოს. აქ მოეწყო შეხვედრები. რუსი მწერლები დიდის აღფრთოვანებით ესალმებიან მათ. ქართველი მწერლების მოსკოვში ყოფნის დღეები მოსკოველ მწერლებთან მათი შემოქმედებითი კავშირის შემდგომი განმტკიცების დღეებად იქცევა.

ქართველი მწერლების მოსკოვში ყოფნის გამო განზრახულია მოეწყოს ქართული სექციის სხდომა, რომელზედაც გაირჩევა 1940 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეო დღეების ჩატარების საკითხი პოეტის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულების გამო.

15 თებერვალს „ლიტერატურნაია გაზეტას" რედაქციაში შესდგა ორდენოსანი ქართველი პოეტების შეხვედრა რედაქციის მუშაკებთან. სხდომას დაესწრნენ ვიტინსკაია, ორდენოსანი პოეტი ლებედევ-კუმაჩი, ლეონიდ ლეონოვი და ვიქტორ გოლცევი. ამ შეხვედრას [illegible] ხასიათი [illegible] და ქართველ მწერლებს [illegible] ვიტინსკაია და ლებედევ-კუმაჩი, [illegible] [illegible] ვიდა შალვა დადიანი. საუბრის დროს გამოითქვა სურვილი, რომ „ლიტერატურნაია გაზეტას" სარედაქციო კოლეგიაში შეყვანილ იქნენ ნაციონალურ ლიტერატურათა წარმომადგენლები. კულტურული კავშირის განმტკიცებაზე და კერძოდ ქართული ლიტერატურის ნაწარმოების რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ ილაპარაკეს გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, დ. შენგელაიამ, ვ. გოლცევმა და სხვ.

17 თებერვალს დღის ორ საათისათვის კრემლის დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები, წითელი არმიის გმირები, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები—ისინი, ვინც უმაღლესი ჯილდოთი იყვნენ დაჯილდოვებულნი.

სრულ ორ საათზე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. **მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა** დაიწყო მილოცვა და დასაჩუქრება.

შალვა დადიანმა და პავლო ტიჩინამ წარმოსთქვეს სამადლობელი სიტყვები.

ქართველ მწერლებთან ერთად ამ დღეს ორდენები მიიღეს უკრაინელმა, რუსმა, თურქმა, ყირგიზმა პოეტებმა. დაჯილდოვებულთა სიხარული აუწერელია. ისინი უდიდეს მადლობას გამოსთქვამენ პარტიისა და ხელისუფლებისადმი, რომელნიც ასეთი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობიან და აფასებენ ჩვენს მშობლიურ ლიტერატურას და მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს.

კრემლიდან გამოსვლისთანავე ორდენოსანმა ქართველმა მწერლებმა ინახულეს **ლენინის მავზოლეუმი.**

21 თებერვალს, მოსკოვის მწერალთა კლუბში შესდგა ქართული პოეზიის საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ვიქტორ გოლცევმა. მან თავის მოხსენებაში მოკლედ დაახასიათა ორდენოსანი პოეტების გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ს. ჩიქოვანის, ი. მოსაშვილის, ი. აბაშიძისა და ს. შანშიაშვილის შემოქმედება. მოხსენების შემდეგ ქართველმა პოეტებმა წაიკითხეს თავიანთი ლექსები. მათი ლექსების თარგმანები წაიკითხეს პასტერნაკმა, ტიხონოვმა, ლიპსკეროვმა და დერჟავინმა.

მზადება ტარას შევჩენკოს იუბილესათვის

აფხაზეთის მწერალთა კავშირში

აფხაზეთში შევჩენკოს იუბილეს ჩამტარებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, 17 თებერვლიდან 5 მარტამდე ფაბრიკა-ქარხნებსა და კოლმეურნეობებში მოეწყობა უკრაინის უდიდესი პოეტისადმი მიძღვნილი საღამოები.

გარდა ამისა 5 მარტიდან 9 მარტამდე რაიონის ცენტრებში ჩატარებული იქნება შევჩენკოსადმი მიძღვნილი რაიონული აქტივის კრებები. 9 მარტს აფხაზეთის სახელმწიფო თეატრში მოეწყობა პოეტის ხსოვნის აღსანიშნავი დიდი ლიტერატურო საღამო.

საიუბილეო დღეებში „ალიტერატურაკ ჟურნალის" რედაქცია გამოუშვებს შევჩენკოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ნომერს.

აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობა ამავე დღეებში გამოსცემს შევჩენკოს პოემებისა და ლექსების კრებულს აფხაზურ ენაზე.

ახალი ოპერა „მარინა"

კიევის ორდენოსანი კონსერვატორიის სტუდენტმა, ახალგაზრდა კომპოზიტორმა ჟუკოვსკიმ ტარას შევჩენკოს პოემის „მარინას" მიხედვით დასწერა ახალი ოპერა. ლიბრეტო შეადგინა ამავე კონსერვატორიის სტუდენტმა დიაჩენკომ. ოპერის ორკესტროვკა ეკუთვნის სტუდენტ ჩაიკინს.

კონსერვატორიის საოპერო სტუდიის მიერ ოპერა „მარინა" მიღებულია დასადგმელად. იგი დაიდგმება შევჩენკოს საიუბილეო დღეებში.

„ლელო"

ვ. წულუკიძე

ალ. ჭეიშვილის პირველი მხატვრული ნაწარმოები „ლელო" გვიხატავს კოლმეურნეობათა განმტკიცებას, სოციალისტური სოფლის გლეხობის მატერიალურ კეთილდღეობას, მის კულტურულ ზრდას.

რომანი გურიის ერთერთი კოლმეურნეობის ჩასახვისა და ზრდის ისტორიაა, მჭიდროდ დაკავშირებული და გადახლართული ცალკე პირების ბიოგრაფიასთან, მათ წარსულსა, აწმყოსა და მომავალ ცხოვრებასთან. „ლელო" პირველი ქართული რომანია, რომელიც გამოირჩევა მომქმედ პირთა განსაცვიფრებელი სიმრავლით და ხასიათების მრავალფეროვნებით. მთელი სოფელი, კოლმეურნეობაში გაერთიანებული, წარმოდგენილია ვეებერთელა ოჯახად, სადაც შრომობს და იბრძვის ყველა თაობის, ყველა ასაკის, სხვადასხვა ტემპერამენტისა და სულისკვეთების ადამიანი.

ის ფაქტი, რომ სოფლად მომხდარი დიდი ცვლილებები ყოველ მომქმედ პირში თავისებურად არის გარდატეხილი, მკითხველის გონებას აძლევს ფართო გასაქანს იმ სირთულისა და წინააღმდეგობების გასათვალისწინებლად, რომლებიც განიცადა და განიცდის საკოლმეურნეო წყობის ზრდისა და განმტკიცების საქმე.

ავტორი კოლმეურნეობას მკითხველს უჩვენებს იმ ეტაპზე, როცა კოლმეურნეობას მთავარი სიძნელე გადალახული აქვს, როცა ისტორიის დიდ სარბიელზე ლელო ახალი საზოგადოებრივ-სამეურნეო ცხოვრების სასარგებლოდ არის გატანილი, როცა კოლმეურნეობა თავისი წევრებისათვის უკვე შეძლებული კულტურული ცხოვრების წყაროს წარმოადგენს.

ახლო ბიოგრაფიული წარსულის მიხედვით, რომანში მომქმედი პირები ოთხ ჯგუფად შეიძლება გაიყოს.

ავტორი გვიჩვენებს, რომ ამ ოთხ ფენიდან მხოლოდ ერთი დარჩა უცვლელი: არ შეცვლილა სიპიტოს, ყაისარას, ელიზბარას მესაკუთრული ბუნება, მათ მხოლოდ შეუცვლიათ შეგუების მეთოდები, გამოუმუშავებიათ სოციალური მიმიკრიის ახალი ფორმები.

ყველა დანარჩენი ფენის ადამიანები საგრძნობლად გამოცვლილან იდეურად გაზრდილან. მორალურად ამაღლებულან. პოლიტიკური თვითშეგნების უფრო მაღალ საფეხურზე ასულან. იმ ეტაპზე, რომელსაც რომანი წარმოგვისახავს, შერმანდია, დანიელა, ჯორბენაძე კოლმეურნეობის დამაარსებელი გლეხები უკვე სოციალისტური შრომის, დამკვრელობისა და სტახანოველობის გამოცდილი ორგანიზატორები არიან. ისინი ჩასწვდომიან რთული ხელმძღვანელობის საიდუმლოებას, მათ იციან, როგორ გაანაწილონ ძალები, როდის რა მოიმოქმედონ, ვის რა გააკეთებინონ.

მეორე ჯგუფის კოლმეურნეები— ფარნა, სეფე, სკაჩია და სხვები, რომლებიც ერთგვარი ეჭვით ჩაებნენ დიდ მოძრაობაში, ისე გაუტაცია თავისუფალ შრომას, ისე წაუხალისებია სხვებთან შეთანხმებული მუშაობის დიდ ნაყოფს, კოლექტიური შრომით მოპოვებულ კეთილდღეობას ისე ღრმად და ორგანიულად დაუკავშირებია კოლმეურნეობასთან, რომ მის გარეშე ამ გლეხებს უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ თავიანთი არსებობა.

ჭეშმარიტი შემოქმედებითი შრომის გმირებად სჩანან მესამე ჯგუფის კოლმეურნენი, დიდი სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკით, პარტიისა და კომკავშირის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით გონებაგახსნილი ახალგაზრდები, რომლებსაც შრომა ხელოვნების სიმაღლეზე აუყვანიათ, რომელთა პათოსს საკოლმეურნეო პლანტაციებსა და ციტრუსოვან ბაღებში სამუშაოდ მოუზიდავს ასაკგადასული ბერიკაცები და მოხუცი დიასახლისები.

თუ რა ძალა აქვს საერთო, ჭეშმარიტად საამური შრომით შექმნილ ატმოსფერას, ამის გასათვალისწინებლად საკმაო გავიხსენოთ ბონდოსა და დედა-მისის პუპულას მდგომარეობა პლანტაციებში მომუშავე კოლმეურნეთა გარემოცვაში იმ დღეს, როცა წყდება საკითხი, თუ ორ კოლმეურნეობაში, რომელს უნდა დარჩეს გარდამავალი დროშა, როცა სასახელო შრომას პლანტაციებში გამოუყვანია მოხუცი ქალები და კაცები. ავტორი ხშირად ხდის მკითხველს კოლმეურნე ახალგაზრდობის ასეთ წამახალისებელ და სხვების აღმგზნებ მუშაობის მოწმედ.

ალ. ჭეიშვილს არ ჰღალატობს მხატვრის თვალი, ჰყოფნის გამოსახვითი საშუალებანი, ჭარბად მოეპოვება დაკვირვებანი იმისათვის, რომ ცოცხლად წარმოგვისახოს ისეთი მასობრივი პროცესები, როგორიცაა ჩაის კრეფა, ტყის კაფვა, მიტინგები, თათბირები, წვეულებები, ლელო-ბურთაობა და სხვ. მასობრივი პროცესების ისე გადმოცემა, რომ მკითხველის მხედველობიდან არ დაიკარგონ ცალკეული ადამიანები, მწერლის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენს.

მაგრამ მწერალი, რომელიც მხოლოდ ამ ამოცანის გადაჭრით კმაყოფილდება, რომელიც ვერ სწვდება, გვერდს უხვევს გმირის ინტიმურ შინაგან მხარეს, ასეთი მწერალი ვერ შეძლებს წარმოგვიდგინოს ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვანებით და წინააღმდეგობებით. „ლელო"-ს ავტორი არ გვაძლევს საფუძველს ვთქვათ, რომ მისი ყურადღებისა და წარმოსახვის გარეშე რჩებოდეს ცალკე ადამიანების სულიერი ვითარება, მათი ვნებათაღელვანი, მათი ინტიმური ვანცდები და ემოციები. ალ. ჭეიშვილი ღრმად იჭრება თავისი გმირების სულიერ სამყაროში, გამოაქვს მათი ნააზრევი, ნაგრძნობი, გულისა და გონების საიდუმლოებანი.

რა სიცხადით და სინამდვილით არის გახსნილი, მაგალითად, სიპიტო ქილიფთარის მესაკუთრული ბუნება იმ წრიალსა, შფოთვასა და მოუსვენრობაში, რომლებითაც, საკარმიდამო ნაკვეთის ჩამოჭრის მოლოდინის გამო, შეპყრობილია ეს კაცი. რა ნათლად და ღრმად ვგრძნობთ ამავე სიპიტოს ბოღმას, გაბრაზებას და უძლურებას, როდესაც ეს სასოწარკვეთილი ადამიანი ფეხით სრესს დახვავებულ ყურძენს, მოკრეფილს მის ნაქონ მაღლარში. რა ბუნებრივია სიპიტოს დავა და დაუსრულებელი ჩხუბი უქნარ და უზრუნველ შვილთან — ბონდოსთან, რომლის ხელგაშლილი ცხოვრება მამის ხარჯზე, აგდებული დამოკიდებულება მამის ქონებისადმი სიპიტოს ჭკუაზე შლის.

მაგრამ ჭეიშვილს აღმოაჩნდა უნარი გადაგვიშალოს არა მარტო ვამწარებული, გაბოროტებული ადამიანების განცდები, არამედ დროსგასატარებლად, სამხიარულოდ შეყრილი ახალგაზრდების სულიერი განწყობილებანი. რა ლირიკული სითბოთი და სისათუთით არის აღწერილი, მაგალითად, ახალგაზრდა ქალვაჟის — ბონდოსა და ცაცინოს ერთად ყოფნა, მათი მორიდებული ტრფიალი, ბონდოს მოკრძალება და თავშეკავება სოფლელი ქალიშვილის კდემამოსილების და ზნეობრივი სისპეტაკის წინაშე, ფიზიკური სიახლოვე და სულიერი სიშორე მათ შორის, ცაცინოს სულის გაორება, მისი თვითვაურკვევლობა, თუ რომელი უფრო საყვარელია მისთვის, „შანსიანი" ბიჭი — ლამაზი, ენამახვილი, მომლხენი, მაგრამ ფუქსავატი ბონდო, თუ მასთან შეზრდილი ჭკვიანი, გამრჯელი, საზოგადო ინტერესებით გატაცებული, მაგრამ მორცხვი და გულჩათხრობილი ქიშვარდი.

ასევე ღრმად სწვდება და ხსნის ავტორი ქიშვარდის სულიერ მოძრაობას. სიყვარულის გრძნობის ვაღვივება, ეჭვიანობა, შური და სიძულვილი მოქიშპისადმი, იმედი, უსასოობა, ბრძოლა მორეულ გრძნობასთან, განუწყვეტელი საქმიანობით ტანჯვისა და სევდის გაქარვება. — ეს ვნებანი და განწყობილებანი ერთმანეთს სცვლიან ამ ახალგაზრდა გმირის არსებაში.

ჩვენ შორს წაგვიყვანდა თუნდაც ჩამოთვლა იმ ფსიქოლოგიური კოლიზიებისა, რომლებშიაც ავტორს მოქცეული ჰყავს არა მარტო მთავარი გმირები, არამედ დანარჩენი პერსონაჟებიც.

თუმცა რომანში არის მრავალი დრამატიული ადგილი, მაგრამ ჩვენ „ლელო" გვიზიდავს არა ცალკე ადგილების ძლიერი დრამატიზაციით, არა მძაფრი სიტუაციებით, არამედ საკოლმეურნეო ყოფის, ახალი სოფლის ცხოვრების ღრმა ცოდნით და მხატვრული აღწერით. მკითხველს იტაცებს და მასში ინტერესს იწვევს არა დახლართული ავანტიურა, არა უცხო ეგზოტიკა, არა საიდუმლო ამბების კვანძი და მისი მოულოდნელი გახსნა, არამედ ჩვენი სოფლის ყოველდღიურობის გაშლილი ჩვენება; ჩვენი კოლმეურნეობის დღევანდელი სინამდვილიდან ისეთი არსებითი დეტალების აღმოჩენა და გამოტანა, რომლებიც ლიბრგადაკრული თვალისათვის მიუწვდომელია.

რომანში მთელი თავისი მრავალფეროვნებით შესულია და აღბეჭდილი ჩვენი სოფლის სინამდვილე. ამიტომ გასაგებია, თუ მასში წამოჭრილია იგივე საკითხები, რომლებიც ჩვენი ცხოვრების განვითარებამ წამოაყენა. ასეთი საკითხთაგანია, მაგალითად, კოლმეურნეობაში შესული (თუ შეპარული) ნაკულაკარი ელემენტებისადმი დამოკიდებულების საკითხი. როგორც ჩვენი სინამდვილის პრაქტიკა გვიჩვენებს, მარტივი და იოლი როდია კოლმეურნეობის ფარულ და აშკარა მტრებთან ბრძოლა.

ალ. ჭეიშვილის რომანი შეიცავს სწორედ იმ ვითარების მხატვრულ განზოგადებას, რომელიც დღევანდელ სოფელში ჰქმნის ამ ბრძოლის სიძნელეებს. როგორ მოხდა ის, რომ სოფლის წურბელები—სიპიტო, ყაისარა, ელიზბარა, ლონგინოზა და სხვები არტელში მიიღეს? მათ ბევრი მოსარჩლე და ქომაგი აღმოაჩნდათ პატიოსან, მაგრამ ნაკლებად გათვითცნობიერებულ მშრომელ გლეხებში, რომელთაგან ზოგი მათთან ნათესაობით, „ნათელ-მირონობით" იყო დაკავშირებული, ზოგი ნივთიერად დავალებული და მათზე დამოკიდებული. ფარნას, ქიშვარდის და სხვების „ნეიტრალიტეტი", წაყრუება, თვალის დახუჭვა კოლმეურნეობის მტრების პროვოკაციულ ქორებზე, მათ მავნებლობაზე, ხელ-ფეხს უხსნის და ათამამებს მათ.

რომანის მრავალი ცოცხლად დახატული სურათი ღრმად გვაგრძნობინებს თუ რა მოხერხებით და გაჭრიახობით იყენებს მტერი სოფლის ზნე-ჩვეულებებს, ნათესაურ-მეზობლურ ურთიერთობას, სტუმართმასპინძლობას, ტრადიციულ შეხედულებებს, სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მომენტს.

მეორე პრობლემა, რომელსაც გვიყენებს ჩვენი სოფლის სინამდვილე და რომლის გარშემოც ტრიალებს ეს რომანი, არის სიყვარულის პრობლემა.

გლეხის ცხოვრებაში წინათ ქორწინება მეტწილად წარმოადგენდა ანგარიშის საქმეს, ნივთიერ გარიგებას. მშობლები ეძებდნენ ქალიშვილისათვის სარფიან, შეძლებულ საქმროს, ვაჟისათვის — მზითვიან საცოლეს მდიდარი ოჯახიდან. ქონებრივი მდგომარეობა თამაშობდა გარდამწყვეტ როლს შეუღლების საკითხში. ქალ-ვაჟთა ურთიერთმიდრეკილება არ იყო საფუძველი ქორწინებისა. რა მდგომარეობა გვაქვს ამჟამად სოფლად, როცა კერძო საკუთრების ძალა შეირყა, როცა მშრომელი ადამიანი შეიქნა ყველაზე ძვირფასი კაპიტალი, როცა ადამიანი ფასდება შრომისმოყვარეობის, შრომისუნარიანობის მიხედვით. უეჭველია ორივე სქესის ახალგაზრდები სოფლადაც გახდნენ ნაკლებ დამოკიდებულნი მშობლებზე. ახალგაზრდებს მეტი შესაძლებლობა მიეცათ თავათ გადასწყვიტონ საცოლოსა და საქმროს არჩევის საკითხი, ნივთიერი მოსაზრებით არ შებოჭონ თავიანთი გრძნობა, ქორწინება ააგონ გულწრფელ სიყვარულზე. მაგრამ რამდენადაც წარსულის ნაშთების გავლენა ჯერ კიდევ ძლიერია, სიყვარული ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შორის არ არის დაზღვეული მატერიალური ანგარიშებისაგან, არ არის დაცული ქონებრივი ინტერესის ჩარევისაგან.

ამ ნიადაგზე იქმნება კოლიზია ალ. ჭეიშვილის რომანში. „ქიშვარდის არ ასვენებდა ბონდოს ლურჯად შეღებილი, პალატზე წამოდგმული ოდა, ალბად, ამით დასძლია ბონდომ ქიშვარდი და, ალბად, ამით მონადირა ალვასის (ცაცინოს დედის) ხარბი გული. აკი უთქვამს ჯღერიას ქალს, უოდო ვაჟს ქალიშვილს არ მივათხოვებო. დედის გავლენით თუა ცაცინომ ბონდოსკენ იბრუნა პირიო". რაკი თავი დააჯერა, რომ სასწორი ბონდოს სასარგებლოდ ოდამ და მამის შეძლებულმა ოჯახმა გადასწია, ქიშვარდიმ ვადასწყვიტა, რადაც უნდა დაუჯდეს, სამ თვეში ოდა აავოს. „თითქოს ლიბრი გადაეკრა თვალზეო, ყველაფერი გადაავიწყდა. გახელებულივით დარბოდა, იმედი ჰქონდა, რომ თავის დაქადნებას შეასრულებდა: აგვისტოს ბოლომდე სახურავამდე აიყვანდა ოდას... აბა თავს ხომ ვერ შეირცხვენდა ცაცინოს წინაშე?" ასე შეიჭრა ოდა და ნივთიერი ინტერესი მის წრფელ სიყვარულში. ხანდახან სინდისი ჰქენჯნიდა ახალგაზრდას, რომ გახურებული ჩაის კრეფის დროს, ეზიდებოდა რა საშენ მასალას, თავის კერძო საქმეზე აბანდებდა კოლმეურნეობის საბარგულ მანქანას, ხარურმებს და მუშა-ხელს. თვით ის წვეულებაც, რომელმაც კოლმეურნეობა მარცხის წინაშე დააყენა, გამართული იყო იმ მოსაზრებით, რომ ეჩვენებინა მეზობლებისათვის, უფრო კი ცაცინოსა და მისი მშობლებისათვის, რომ მისი ოჯახი გამოვიდა სიღარიბიდან. რომ იგი უკვე შეძლებულია.

მაგრამ არა მარტო ამით სურს მოიპოვოს ქიშვარდიმ ქალის სიყვარული და მისი მშობლების პატივისცემა. ქიშვარდი ცდილობს თავის სატრფოს ისეთი ამაგი დასდოს, როგორსაც ვერ შესძლებს მისი მოქიშპე., ის, რასაც სჩადის ქიშვარდი, ახალი მოვლენაა სოფლელ ქალვაჟთა ურთიერთობაში. ქიშვარდი აქეზებს ცაცინოს — ჩაებას ჩაის მკრეფელთა შეჯიბრებაში, აღუთქვამს ამასთან დახმარებას და ხელისშეწყობას. მართლაც, მისი მეოხებით ქალიშვილი ამყარებს საკავშირო რეკორდს. ვაჟის თავდადებული მუშაობით ცაცინო ხდება მთელი სოფლის სიამაყე, საქვეყნოდ ცნობილი და სახელმოხვეჭილი. ეს ფაქტი ფოლადის სიმტკიცეს აძლევს მათ სიყვარულს. ეს სიახლე შეყვარებულთა დამოკიდებულებაში, საკოლმეურნეო წყობილებით გამოწვეული და დამახასიათებელი ჩვენი სოფლის ახალგაზრდებისათვის. შენიშნა და დამაჯერებლად გადმოგვცა მწერალმა.

ცაცინო, ეონა, ასინეთი და რომანის სხვა გმირი-ქალები, რომლებიც მამაკაცებზე ნაკლებ როლს არ თამაშობენ სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცხადჰყოფენ, თუ როგორ გადაჭრა ქალთა ნამდვილი განთავისუფლების საკითხი ახალი ცხოვრების სინამდვილემ.

ყველაფერი ეს ცხადჰყოფს „ლელოს" მაღალ იდეურ-მხატვრულ ხარისხს.

მაგრამ ნაწარმოებს აქვს ორი მთავარი ნაკლი. პირველი შეეხება ენას. ავტორს მდიდარი ლექსიკონი აქვს. მოგვითხრობს და აგვიწერს მოვლენებს სუფთა, სადა, გაუცვეთელი ლიტერატურული ენით, აცოცხლებს ფრაზას ხალხური თქმებით, გურული ფრთიანი სიტყვებით, იუმორით. მაგრამ ავტორი სცოდავს ენის წინაშე მაშინ, როცა სიტყვას აძლევს თავის გმირებს. რომანის თითქმის ყველა პერსონაჟი გურულ კილოკავზე მეტყველებს. ეს შეცოდება აძნელებს არა გურული მკითხველისათვის ნაწარმოების ათვისებას და ასუსტებს მხატვრულ ეფექტს. ამ საფრთხეზე არა ერთხელ მიუთითებია საბჭოთა მწერლებისათვის მაქსიმ გორკის. კილო-კავის გამართლება იმ მოსაზრებით, თითქოს იგი აუცილებელი იყოს გმირთა მეტყველების თავისებურების გადმოსაცემად, საფუძვლიანი არ არის. დიდი მწერლების პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ შესაძლებელია მომქმედ პირთა სალაპარაკო ენის ინდივიდუალიზაცია ისე, რომ არ დაირღვეს ლიტერატურული ენის ნორმები. ცალკე პირთა მეტყველებას იერს აძლევს არა შეცვლილი ლექსიკა, კუთხური სიტყვები, არამედ ფრაზის წყობა, მახვილის დასმა წინადადებაში, ინტონაცია. თვით ალ. ჭეიშვილიც კი ამ ხერხით ჰქმნის ერთი გურული კილო-კავის საფუძველზე თავის პერსონაჟთა მეტყველების სხვადასხვაობას. ცხადია, ეს კიდევ უფრო მოსახერხებელი და მიზანშეწონილია ლიტერატურული ენის ფარგლებში.

მეორე ნაკლი რომანის არქიტექტონიკას შეეხება. ცალკე ეპიზოდები, როგორც მდინარის შენაკადები, მართალია, რომანის ფარვატერისკენ მიეშურებიან, მაგრამ ვიდრე მას შეუერთდებოდნენ, ძალიან ფართო სივრცეზე მიმდინარეობენ და დიდ მანძილზე შორდებიან საერთო კალაპოტს. ეს ადუნებს მოქმედების ტემპს და ანელებს ნაწარმოების დინამიურობას. მაგრამ ასეთი ნაკლი ბუნებრივი და მოსალოდნელია პირველი მხატვრული ნაწარმოების ავტორისაგან. მთავარი ის არის, რომ „ლელოს" ავტორმა გამოამჟღავნა საკუთარი ხედვა და სინამდვილის ცოდნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკო

125 წელი დაბადებიდან

ტარას შევჩენკოს იუბილესათვის

ახლოვდება უკრაინის დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს იუბილე. ეს დღესასწაული სასიხარულოა და საამაყოა როგორც უკრაინის თავისუფალი და ბედნიერი ხალხისათვის, ისე დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებისათვის. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ განუსაზღვრელი გასაქანი მისცა წინად დაჩაგრული ერების ხელოვნებას და, კერძოდ, ლიტერატურას. იზრდება და ხარობს საბჭოთა კავშირის ხალხების მწერლობა. გაცოცხლდნენ და ახალი განათება ერგოთ ბნელი საუკუნეების მიერ შევიწროვებულს, მაგრამ ძლიერი ქარიშხლის მატარებელ ჩვენს კლასიკოსებს. ხალხის გამარჯვებას მოჰყვა კლასიკოსების ახალი გაცოცხლება, რადგან ჩვენი კლასიკოსები ხალხური მეტყველებით გამოსთქვამდნენ ხალხის მისწრაფებებსა და სურვილებს. დღეს გამარჯვებულმა საბჭოთა ხალხმა გვერდში ამოიყენა წარსულ საუკუნეებში მოღვაწე საყვარელი პოეტები კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში. ასეთია დღეს დიდი რუსი ხალხისთვის პუშკინი, ქართველი ხალხისთვის — რუსთაველი და უკრაინელი ხალხისთვის — ტარას შევჩენკო. რატომ არიან ეს პოეტები დღესაც ხალხის მახლობელნი და საყვარელნი? იმიტომ რომ ისინი თავიანთ შემოქმედებაში ხალხის სასარგებლო იდეებს ხალხის ენითვე გამოსთქვამდნენ. ხალხის საქმე და სიტყვა უკვდავია. კლასიკოსების მწერლობაც ხალხური გამძლეობისაა.

ტარას შევჩენკოს პოეზიის მონათესავე ხმა საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში გაისმა. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და ბატონყმობით დაჩაგრული ღარიბი გლეხების ინტერესებისათვის ბრძოლა აერთიანებდა ტარას შევჩენკოს შემოქმედებას ილიას და აკაკის და მათი თაობის ბევრი მომდევნო პოეტის შემოქმედებასთან. ტარას შევჩენკოსადმი სიყვარულიც პირველად მეცხრამეტე საუკუნის დიდმა მწერლებმა ჩაუნერგეს ქართველ ხალხს. აკაკი წერეთელი პირადად შეხვედრია ტარას შევჩენკოს და ამ უკანასკნელს შთაბეჭდილება მოუხდენია საქართველოს მომღერალზე. მთელი სიცოცხლე იგონებდა აკაკი შევჩენკოს და მისი პოეზიისადმი უდიდესი სიყვარულით იყო გამსჭვალული. ასეთივე სიყვარულით და პატივისცემით გამსჭვალული იყვნენ შევჩენკოს პოეზიის მიმართ ნიკო ნიკოლაძე (იხ. მისი მოგონება), დიმიტრი ყიფიანი, სილოვან ხუნდაძე და სხვები. შემდეგში უფრო გაძლიერდა და გავრცელდა შევჩენკოს პოეზიისადმი სიყვარული და ინტერესი. არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ცნობილი პედაგოგი და მწერალი ალ. გარსევანიშვილი, რომელმაც სთარგმნა მთელი რიგი შევჩენკოს ლექსებისა და რეაქციის მძვინვარების დროს დადიოდა დაბა-ქალაქებში და კითხულობდა ლექციას: „უკრაინის ხალხის მომღერალი ტარას შევჩენკო“. ეს მოხსენებები ერთერთი სახე იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისა. 1911 წელს ეს მოხსენება ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

ამავე წელს ქართველმა მოწინავე და რევოლუციურად განწყობილმა ინტელიგენციამ ფართოდ აღნიშნა პოეტის გარდაცვალებიდან ორმოცდა ათი წლის შესრულების თარიღი. მანამდეც ითარგმნებოდა შევჩენკოს ლექსები. ხოლო 1911 წელს თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთმა მოათავსა მისი ლექსების თარგმანი. მათვე მოათავსეს შევჩენკოს პიროვნებასთან და პოეზიასთან დაკავშირებული მრავალი მასალა. პოეტების: შანშიაშვილის, განდეგილის, მჭედლიშვილის და იასამანის თარგმანები იბეჭდებოდა „განათლებაში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვაგან. ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც თვითმპყრობელობის რეჟიმი ანტაგონიზმს თესავდა ერთა შორის და ანადგურებდა იმპერიის მიერ დაპყრობილ ხალხების კულტურას.

საბჭოთა სინამდვილემ გაანთავისუფლა და უდიდესი გასაქანი მისცა ხალხების შემოქმედებით ენერგიას. პუშკინისა და რუსთაველის იუბილე შესანიშნავი დემონსტრაცია იყო საბჭოთა სინამდვილის უდიდესი გამარჯვებისა და აღმავლობისა. ეს იყო დემონსტრაცია ხალხთა მეგობრობისა და ერთმანეთის კულტურისადმი სიყვარულის და პატივისცემისა.

საბჭოთა კავშირის უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა მეგობრობა — განმტკიცებულია და ქართველი მწერლებიც ასეთივე სიხარულით და სიყვარულით ხვდებიან შევჩენკოს იუბილეს. ჯერ კიდევ ორი წლის წინად გადასწყვიტეს ქართველმა პოეტებმა შეექმნათ ახალი თარგმანები შევჩენკოს პოეზიისა. მართალია, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძველად არსებობდა ბევრი თარგმანი შევჩენკოს ლექსებისა. ზოგიერთი თარგმანი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ხალხურ პოეზიაშიც კი მივიდა. მიუხედავად ამისა, ძველი თარგმანების უმრავლესობა ვერ გადმოგვცემს შევჩენკოს პოეზიის დიდ მხატვრულ სურათოვანებას და მუსიკალობას, ვერ აკმაყოფილებს დღევანდელი მკითხველის გაზრდილ მოთხოვნას თარგმანებისადმი.

საბჭოთა პოეტების მუშაობის მიზანი იყო შეძლებისდაგვარად გაეხმიანებიათ შევჩენკოს ლექსების დიდ შინაარსობრივ სიმძაფრესთან ერთად მისი მეტრიული და რიტმიული თვისებანი, გაეხმიანებიათ ეს ლექსები ისე, რომ არ მსგავსებოდნენ უბრალო თარგმანს, რომ ისინი ქართულად აჟღერებულიყვნენ როგორც ორიგინალური პოეტური ნაწარმოებნი, ამ მუშაობაში საბჭოთა პოეტებს ეხმარებოდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პოეტური კულტურა. თავის მხრივ ილია და აკაკი შევჩენკოს ეხმაურებოდნენ არა მარტო იდეურობით და თავიანთი შემოქმედების შინაარსობრივი დაძაბულობით, არამედ ნაწილობრივ თავიანთი მხატვრული ხერხებითაც. შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა პოეტების მუშაობამ საგრძნობი ნაყოფი გამოიღო, და ჩვენ გვაქვს შევჩენკოს თარგმანების თითქმის მთლიანი კრებული, შესრულებული საკმაოდ ძლიერი ოსტატობით. შეიძლება გაბედულად ვაღიაროთ, რომ თარგმანების უმრავლესობა აკმაყოფილებს დღევანდელი მკითხველის გაზრდილ მოთხოვნილებას და შევჩენკოს ქართულად ახმიანებამ სასურველ შედეგს მიაღწია.

ალიო მაშაშვილი
სიმონ ჩიქოვანი



ტარას შევჩენკო ნახ. ა. ჩხაიძისა.

ვ. ი. ლენინი შევჩენკოს შესახებ

„შევჩენკოს ხსოვნის აღნიშვნის აკრძალვა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის თვალსაზრისით იყო ისეთი საუცხოო და დიდებული, იმდენად იშვიათი და მოხერხებული ზომა, რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენა შეუძლებელია. მე ვფიქრობ, რომ მთავრობის წინააღმდეგ მომქმედი ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატიული აგიტატორები ესოდენ მოკლე დროში ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ისეთ თავბრუდამხვევ წარმატებას, როგორსაც მთავრობის საწინააღმდეგო აზრით ამ ზომამ მიაღწია. ამ ზომის შემდეგ მრავალი მილიონი „ობივატელი“ შეგნებულ მოქალაქედ გადაიქცა, ისინი რწმუნდებოდნენ იმ სიტყვების სისწორეში, რომ რუსეთი „ხალხთა საპყრობილეა“.

შენიშვნა: 1914 წელს 100 წელიწადი შესრულდა პოეტ ტ. გ. შევჩენკოს დაბადებიდან. მეფის მთავრობამ აკრძალა ეს იუბილე. ამის გამო შეიტანა ვ. ი. ლენინმა ზემოაღნიშნული სტრიქონები ხელნაწერში „ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის“, რომელიც წარმოადგენდა დეპუტატის გ. ი. პეტროვსკის მიერ სახელმწიფო სათათბიროში წარმოსათქმელი სიტყვის პროექტს.

შევჩენკოს პორტრეტის წინ

ვალერიან გაფრინდაშვილი

სდგეხარ მთასავით—მაღალი და ომახიანი.
ნუ თუ შენც სფინქსად აიკვეცე, მხარგრძელო ტარას?
არა! ძილშიაც დასტრიალებ სამშობლო მხარეს,
ვით ჭეშმარიტი პოეტი და ადამიანი.

ზღვის და უდაბნოს მარტოობა სცან შხამიანი,
ამირანივით მიჯაჭვული უცქერდი შარას,
სადაც ხედავდი მძლავრ კენტავრებს, არა ცხვრის ფარას
და ჯანყის მტვერი ცას სწვდებოდა ქარიშხლიანი.

დასწყევლე მეფე, ბატონები შენ გაშმაგებით,
მათ დასასჯელად გამოჰკვეთე გაიდამაკები...
მაგრამ იყავი დატანჯული და განწირული.

რევოლუციამ უმაღლესი მოგცა ტრიბუნა,
მთელი დიდება, როგორც პოეტს, შენ დაგიბრუნა
და გამოსჭედა ქანდაკება შენი გმირული.

კოტლიარევსკის მარადიულ ხსოვნას

ტარას შევჩენკო

მზე გვათბობს და ქარი დაჰქრის
მაღლობიდან ბარში,
წყალთან წითელ ძახველს დაჰხრის
და ბზის შტოებს გაშლის.
ძახველაზე ობოლ ბუდეს
აქანავებს ქარი.
იადონი სად წასულა
ახლა სადღა არი?
მომაწყენა ვარამი და
სულ ერთია გაჰქრა.
მოვიგონებ კეთილსა და
ვიტანჯები, რა ვქნა.
შევხედავ და მახსენდება:
საღამო ჟამს გულით,
იგი გალობს ძახველაზე,
გვერდს ვერავინ უვლის;
თუ მდიდარი, ვისაც ბედი
მშობელივით ახლავს,
გამოივლის, აცქერდება
ამ ძახველას მაღალს,
ობოლი თუ ალიონზე,
შრომით ხვდება მშრომელს,
ძახველასაც ჩამოუვლის
როგორც თავის მშობელს.
ეკითხება, შესჩურჩულებს,
გული ფეთქს და ხარის.
ქვეყნად მისთვის აღდგომაა,
ხალხიც, ხალხი არის.
თვით გოგონა, თავის სატრფოს
ყოველდღე რომ ეძებს,
ქრება, დნება ობლობითა
გლოვობს თავის ბედზე, —
მოდის, ძახველს მინანდობს
მოტრფიალე, ფრთხილი,
უგალობებს იადონი,
შრება ცრემლი წვრილი.
სტვენას ისმენს, გაიცინებს —
შემდეგ ტყეში შედის,
თითქოს სატრფოს ებაასა
მხიარული მღერის;
ისე ხშირად თითქოს ისმენს მის სიმღერას ღმერთი,
შემდეგ გზაზე გამოჩნდება ავაზაკი ერთი.
სასეირნოთ გამოსულა ბოროტი და ლოთი
დანა ჩექმის ყელში უდევს, მოხმაურობს ჭორთი.
იადონი სტვენას შესწყვეტს, სტვენა აღარ ისმის,
რადგან შმაგის ბოროტ სურვილს ვერაფერი იხსნის.
მხოლოდ ყელი დაიღლების უშედეგო რისხვით,
ავაზაკი რას გაიგებს, შავ ბედთანაც მივა
და ყორანი დაიჩხავლებს მის საფლავზე ცივად.
დაბლობს სძინავს, ძახველაზე
იადონსაც სძინავს.
დაჰკრავს ქარი, ქარის ეხო
ჭორთსა შინა გმინავს
ღვთიურ ხმებად და აღვიძებს
ღარიბების ბინას.

ძროხებია ტბასთან ახლოს
და ტივებიც სჩანან.
დღე ედემობს, მზე ბზას ამკობს
დღეობაა ბარად.
ავაზაკიც იცვლის სახეს
ასე იყო, ახლა ნახეთ:
მზე გვათბობს და ქარი დაჰქრის
მაღლობიდან ბარში.
წყალთან წითელ ძახველს დაჰხრის
და ბზის შტოებს გაშლის.
ძახველაზე ობოლ ბუდეს
შეაქანებს ქარი.
იადონი სად წასულა?
ახლა სადღა არი?
თითქმის გუშინ, თითქმის გუშინ, უკრაინას ასე
კოტლიარევსკი, მხნე მოხუცი ჭიკჭიკებდა მზისით...
ის დაგვშორდა, დაგვაობლა და ქვითინებს ძალზე
ჩვენი ქვეყნის ზღვა და მთები, ნაცნობები მისი.
სადაც ბრბოებს ბედის მძებნელს,
მიუძღოდა მარტოდ,
დღეს ტროადის ნანგრევებით
ირგვლივ მხარე დარდობს.
ყველა დარდობს, მხოლოდ მისი
სახე ბრწყინავს ყოვლად.
მზით გაათბო საუკუნემ
ამ კობზარის ხსოვნა.
შენ იცოცხლებ მამობილო,
სანამ ხალხი ღელავს;
სანამ ცაში მზეა სხივით
ესხომები ყველას.
წმინდა სულო, შენ მიიღე, ჩემი ლოცვა თბილად,
არა ბრძნული, მაგრამ წრფელი, მოეფერე ფრთხილად.
ნუ დამტოვებ, ვით დასტოვე ობოლივით ველი;
მოდი ჩემთან, მოისმინე, ჩემი თხოვნა წრფელი:
უკრაინის სიმღერები მიგალობე მწველი.
შენ კაზაკთა სიდიადე და სიტყვების მოთქმა,
მიიტანე ჯადოქრულად ღარიბების ქოხთან.
შენ, არწივო, რუხფრთიანო, გადმოყევი ქარებს,
მე მარტო ვარ, ობლადა ვარ, გადაკარგულ მხარეს.
ზღვას გავყურებ ულმობსა და ვრცლად გადაშლილს წინა,
გავცურავდი სამშობლოში, ნავს ვინ მომცემს, ვინა?
გავიხსენებ სამშობლოს და „ენეიას“ შენსას,
გავიხსენებ და მოვყვები ჩვილ ბავშვივით კვნესას;
ზღვაზე ქარი ღრიალებს და თითქოს ისვრის მეხსაც,
შეიძლება უვიცი ვარ და ვერ ვხედავ გზირი:
ეგებ იქაც ტანჯვა არის, ხალხი იქაც ტირის,
ობოლს ყველგან დასცინიან, იტანჯება მწირი,
დე დამცინონ, იქ ზღვაა და მეც ვიცხოვრებ ბარემ,
მზე არის და უფრო ძლიერ დაჰქათქათებს მთვარე;
ქარი მუდამ ბაასს მართავს კურგანებთან სოფლად;
მეც იმათთან ვიბაასებ, არ ვიქნები ობლად.
წმინდა სულო, შენ მიიღე, ჩემი ლოცვა სრული,
არა ბრძნული, მაგრამ წრფელი, მოეფერე გულით.
ნუ დამტოვებ, ვით დასტოვე მოხნარები ძველი,
მოდი, გითხრა ერთი თხოვნა, ნატანჯი და წრფელი:
უკრაინის სიმღერები მიგალობე მწველი.

თარგმანი **სიმონ ჩიქოვანისა**

მეგობრობა

ილია ხოშტარია

„ჩვენ შეგვხვდენ ისე, როგორც მამა ხვდება ათი წლის უნახავ შვილს“. უკრაინის სსრ კოლმეურნეთა დელეგაციის ხელმძღვანელის ამხ. ლ. პალამარჩუკის წერილიდან.

ცას წვდებოდა ხალხის გმინვა,
იყო ქმუნვა არნახული,
უკრაინის წყნარი ღამე
იყო ძაძით დათალხული.
აღარც ხენი შრიალებდენ
დიდი დნეპრი იყო წყნარი,
დასეტყვილი თავთუხები
კაცთ თვალთაგან შესაზარი,
დიდ პოეტის შევჩენკოსი
მიწა ცრემლით დანამულა,
მზიურ მხარის მზეც მტირალი
შავს ღრუბლებში მიმალულა.
მკერდი გქონდა უკრაინავ,
მტრების ტყვიით დაცხრილული
დიდება მას, ვინც დაეცა
სამშობლოსთვის განგმირული
აწ აყვავდით, გაიხარეთ,
ზურმუხტოვან მთა-ველებო,
თქვენ ერთბაშად წამოდექით
უკრაინის მებრძოლებო.
საბჭოეთის ხალხთა შორის
აღარ სუფევს მტრობა, შური
სალ კლდესავით ამართულა
მეგობრობა სტალინური
და ჰა!.. ისევ სიმღერებად
აშრიალდა ქართლის მდელო,
თქვენ მოპვედით და ძმურ გრძნობით
შეგეგებათ საქართველო.
აქ ჩვენთვისაც ოდეს ძმებო
დღე ხომ ტანჯვით მიდიოდა
ახლა ხალისს გულში ნერგავს
კოლმეურნის თბილი ოდა.
ჩვენ არასდროს არ შევდრკებით
გვაქვს მკერდები ფოლადისა,
ძალას გვმატებს, გზას გვინათებს
დროშა დიდი ბელადისა.
და თუ უწინ ათას წლობით,
მხოლოდ შუღლი არსებულა
დღეს სტალინურ მეგობრობით
ხალხის გული ანთებულა.
მოვიცილეთ და დავლეწეთ
გარს, რომ გვერტყა რკინის ბადე,
დიდ სტალინის სამშობლოში
ხელმეორედ დავიბადეთ.

ტარას შევჩენკო და აკაკი წერეთელი

ალ. სულავა

აკაკი წერეთელი 20 წლის ყმაწვილი იყო, „საიდუმლო ბარათისა“ და სხვა ლირიკული ლექსების ავტორი, როდესაც 1860 წელს პეტერბურგში შეხვდა ტარას შევჩენკოს, გაიცნო და ესაუბრა მას.

ტ. შევჩენკოს აკაკისთან შეხვედრის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია, იგი არც ისე მოხუცი იყო, მოკვდა ფიზიკურად გატეხილი, მაგრამ სულიერად და პოლიტიკურად გაუტეხავი და დაუმორჩილებელი. იგი მოკვდა როგორც თვითმპყრობელობის დაუძინებელი მტერი, უკრაინის ხალხის მომავლისათვის მებრძოლი, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, დობროლიუბოვის მეგობარი.

ტ. შევჩენკოსთან შეხვედრის ამბავს აკაკი წერეთელი არა ერთხელ იგონებდა თავისი მოხუცებულობის ჟამს, როგორც უბედნიერეს შეხვედრას.

დასაშვები იყო თუ არა, რომ ახალგაზრდა პოეტზე არ მოეხდინა რაიმე გავლენა უკრაინის ხალხის ამ დიდ პოეტს? ეს შეუძლებელი იქნებოდა. თვითონ აკაკი აცხადებს, რომ „პირველად გავიგე მისი სიტყვებიდან, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო და შენი ხალხი“.

აკაკიმ სამუდამოდ დაიხსომა უკრაინელი პოეტის „სიზმრის“, „გაიდამაკების“, „კავკასიის“ დიდი ავტორის შესანიშნავი სიტყვები სამშობლოს სიყვარულის შესახებ. ერთი წლით ადრე გარდაცვალებამდე, 1914 წელს, აკაკი წერეთელმა ტ. შევჩენკოს დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად ტფილისში გამართულ უკრაინელთა საღამოზე მრავალი უკრაინელი გაახარა განცხადებით, რომ ის პირადად იცნობდა შევჩენკოს და დაახასიათა იგი, როგორც უკრაინის ხალხის დიდი პოეტი, თანაც უსურვა უკრაინელთ — შეეყვარათ „თავიანთი სამშობლო და დედა-ენა ისე, როგორც განსვენებულ შევჩენკოს უყვარდა, რადგან მისთვის ეს საუკეთესო ჯილდო და ხელთუქმნელი ძეგლი იქნება-ო“ (გაზ. „სახალხო საქმე“, 1914 წ. 4 აპრილი).

ისე, როგორც აკაკის შეხვედრას ტარას შევჩენკოსთან არ ჩაუვლია აკაკიზე იდეური შთაგონების გარეშე, არც მათი ნაცნობობის ფაქტი გამოჰპარვია ძველათვე უკრაინის ხალხს.

აკაკი წერეთლის იუბილე, რომელიც 1908 წელს გადაიხადა ქართველმა ხალხმა, საქართველოს საზღვრებსაც გასცილდა. კერძოდ, იგი აღინიშნა უკრაინაშიც. ამის შესახებ „დროებაში“ მოთავსებულია ერთი მეტად საინტერესო ცნობა კიევიდან, სადაც აღნიშნულია:

„ქართველი ერის სადღესასწაულო აღტაცება იმდენად ხმოვანი აღმოჩნდა, რომ მისმა გამოძახილმა რუსეთის შორეულ ადგილებსაც კი მიაღწია. რუსეთის ინტელიგენციამ ახლა სხვა თუ არაფერი, აკაკი წერეთლის სახელი და გვარი მაინც იცის, და იცის, რომ აკაკი დიდი პოეტია ქართველებისა. აკაკიმ მეტად დააინტერესა მომეტებულად უკრაინელები. მათი პრესა აკაკის პოეზიას ადარებდა თავიანთ შესანიშნავ პოეტის შევჩენკოს პოეზიას. ბევრი გულით ნამდვილი უკრაინელი გაახარა აკაკის განცხადებამ, რომ იგი პირადად იცნობდა შევჩენკოს“ (გაზ „დროება“, 1909 წ. 8 თებერვალი, № 37 — „უკრაინელები ქართველებზე“).

ეს ფაქტი საყურადღებოა იმითაც, თუ რა გზით ეძებდნენ ცარიზმის მიერ დამონავებული ერები ერთმანეთთან ძმობას.

მართალია, აკაკის არ ახასიათებდა ტარას შევჩენკოს მსგავსი გლეხურ-რევოლუციური მსოფლმხედველობა, მაგრამ თავისი პატრიოტიზმით, მშრომელი ხალხისა და დაჩაგრული ერებისადმი სიყვარულით, თვითმპყრობელობისადმი შეურიგებლობით იგი ძალზე ახლოს სდგას ტარას შევჩენკოსთან, და თუ გავიხსენებთ იმ პოზიციას, რომელიც აკაკიმ დაიჭირა 1905 წლის პირველი რევოლუციის დროს, როდესაც გამოეხმაურა ხალხის პოლიტიკურ ბრძოლას, უშიშრად და აშკარად მოუწოდა — „ძირს მთავრობა უსამართლო“ და შექმნა შესანიშნავი შედევრები: „შენი ჭირიმე, ხანჯალო“, „ნატვრა“, „ინტერნაციონალი“, იგი კიდევ უფრო ამაღლდა როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოეტი.

ტ. შევჩენკო უკრაინის ხალხის — მისი დიდი უმრავლესობის, დაჩაგრული გლეხობის ყოფის, არაადამიანური ცხოვრებისა და მისი მისწრაფებების გამომხატველი უდიდესი სოციალური პოეტია.

ტ. შევჩენკო მომავალზე სწერდა:

„ო, ეს იქნება სიმართლე მაშინ,
მართლაც იქუხებს სიმღერის ძალა,
თუ რომ სამშობლო უკრაინაში
მთლად წაიშლება პანების კვალი“.
(„მე გავიზარდე უცხო მხარეში“)

შევჩენკოს ეს ოცნება ასრულდა, ხალხის სიმართლემ, რომლისათვის მას აწამებდნენ, გაიმარჯვა. სამუდამოდ აღიკვეთა საზიზღარი პანების კვალი.

სიმართლისა და სამშობლოს სიყვარულისათვის შევჩენკოს მწარე ცხოვრება ერგო. ამ მხრივ აკაკი შედარებით უფრო ბედნიერი იყო, მას არ განუცდია, როგორც შევჩენკოს, ციხეებისა და დევნის საშინელებანი. პოემის „სიზმრისათვის“ შევჩენკო ათი წლის განმავლობაში გადასახლებაში იყო. აკაკის მხოლოდ ერთი ღამე გაატარებინეს მეტეხის ციხეში ლექსისთვის „დღეს მერცხალი შემოფრინდა“. ლექსის „ინტერნაციონალის“ გამო ცენზურამ მოითხოვა აღძრულიყო მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ძიება, მაგრამ თუ აკაკი წერეთელი გადაურჩა მეფის ხელისუფლების დევნასა და ციხეებს, მოხდა ეს იმიტომ, რომ აკაკის დევნა არც ისე ადვილი იყო ქართველი ხალხის რევოლუციური გამოღვიძების გარიჟრაჟზე. შევჩენკო ვერ მოესწრო ასეთ ჟამს, მან ვერ მოუსწრო გლეხთა განთავისუფლების დღესაც, რასაც იგი ასე მოელოდა და შენატროდა.

შევჩენკო თავისი დროის მოწინავე დემოკრატი იყო, რაც მას ხელს არ უშლიდა უკრაინის ხალხის საუკეთესო წარსული ედიდებინა. ამ საფუძველზეა აგებული მისი უშესანიშნავესი „გაიდამაკები“, „ტარასის ღამე“. „გამალია“. იგი ეროვნული სიამაყის გრძნობით გამოხატავდა უკრაინელი ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა ამბებს.

აკაკი წერეთლის პატრიოტიკაც ასეთ მიზანს ემსახურებოდა. მისი ისტორიული პოემები „თორნიკე ერისთავი“ და „ნათელა“, ისტორიული მოთხრობა „ბაში-აჩუკი“ იყო არა მარტო წარსულის დიდება, არამედ ახალი მტრის — თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად მზადება.

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში აკაკიმ თავისი ნატვრის გამართლება დაინახა. მოვესწარ, რასაც ვნატრობდიო, და ხალხს უფრო მედგარი ბრძოლისაკენ მოუწოდა. და შესანიშნავი დიდება უმღერა ხანჯალს, რომელსაც გამარჯვების ერთადერთ იმედად სთვლიდა. აკაკის ლექსი „ხანჯალს“ შედევრია განმათავისუფლებელი იდეების გამომხატველი პოეზიისა.

ამ მხრივ ეს ლექსი ძალზე უახლოვდება ტარას შევჩენკოს მოწოდებას, რომლითაც მან თავის ხალხს მიმართა: წამოდექით, დაამსხვრიეთ მონობის ჯაჭვები და მტრის ბოროტი სისხლი თავისუფლად მოაფრქვიეთო. ტ. შევჩენკოს მთელი პოეზია ასეთი მოწოდების ზარი იყო. თავისუფლებას სძინავს, მას მხოლოდ ბასრი ნაჯახი გააღვიძებსო. ამ მხრივ ტ. შევჩენკოს პოემა „სიზმარი“ პირველი ანტიკოლონიალური პოემაა, თვითმპყრობელობის მტაცებლობის მამხილებელი.

შევჩენკოს შემოქმედების უდიდესი გვირგვინია მისი „კავკასი“. ტ. შევჩენკო პოემა „კავკასით“ მოუწოდებდა მთიულებს — არ დანებებოდნენ თვითმპყრობელობას, თავისუფლება და სიმართლე თქვენს მხარეზეაო. შევჩენკომ შესანიშნავად გამოხატა ამ პოემაში მრავალტანჯულ საქართველოს — პრომეთეოსის ბედიც:

„ძველთაგანვე პრომეთეოსს აქ არწივი სძიძგნის,
გულს უკორტნის, მოთქრიალებს ნაკადული სისხლის,
ეწაფება და ვერ შრობს სისხლის ცხოველ წყაროს,
გული ისევ მოცოცხლდება ძილებურად ხარობს
და სიმართლეც არ მოკვდება, ვერ ჩაკლავენ ლაღებს“.

თითქოს ტ. შევჩენკოს ამ შესანიშნავი სტრიქონების საპასუხოდ დაუწერია ა. წერეთელს მიჯაჭვული ამირანის ამბავი (პოემა „თორნიკე ერისთავი“):

„კავკასიის ქედზე იყო,
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
ძაფლეთილი ჰქონდა გული“.

ისევე, როგორც ტ. შევჩენკოს სწამდა, რომ უკრაინა აღსდგებოდა:

„წამოდგება უკრაინა
და სიმართლეს გაშლის“. —

აკაკი წერეთელიც დაიმედებული იყო, რომ ქართველი ხალხის ნებისყოფას ვერ მოდრეკენ მისი მტრები, რომ თავისუფლება გაიმარჯვებს:

მოვა დრო და თავს იიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი...
სიხარულად შეიცვლება.
ამდენი ხნის გასაჭირი!“

ორივე პოეტის წინასწარმეტყველური რწმენა და ნატვრა დიდი ხანია ახდა არა მარტო საქართველოსა და უკრაინისათვის, არამედ ყველა იმ ერისათვის, რომელიც წინათ ხალხთა საპყრობილის საშინელებას განიცდიდნენ.

მთელი თავისი ცხოვრება ტ. შევჩენკომ სამშობლოს გარედ გაატარა, მაგრამ სამშობლოსადმი სიყვარული არასოდეს არ შენელებულა მასში, ხოლო თავის „ანდერძში“ ინატრა კიდეც:

„როცა მოვკვდე მე დამმარხეთ,
სად ყორღანი ატანილა,
საყვარელი უკრაინა
ტრამალებით გადაშლილა“.

შევჩენკოს ეს ლექსი უკრაინის ხალხის ერთი უსაყვარლესი და უტკბილესი სიმღერაა. მასში უდიდესი ლირიზმითაა გაშლილი შევჩენკოს სულისკვეთება:

„მაშ დამმარხეთ. წამოდექით,
ბორკილები დაამსხვრიეთ,
მტარვალების სისხლის ჩქეფი
თავისუფლად მოაფრქვიეთ“.

ტ. შევჩენკოს ეს „ანდერძი“ მრავალმხრივ ეხმატკბილება აკაკი წერეთლის ლირიკულ მარგალიტს — „განთიადს“. აკაკიც, როგორც შევჩენკო, ნატრობდა:

„ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები
შენზედვე მგლოვიარეო...
ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,
ზე კალთა დამაფარეო....
და რომ მოვკვდები გახსოვდეს,
ანდერძი დავიბარეო:
დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო,
ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო!“

ტ. შევჩენკო ებრძოდა და უარჰყოფდა თავადაზნაურული ლიტერატურის ცდას — დაეხატა უკრაინა ალუბლების ბაღების ქვეყნად, დაეფარა მისი ხალხის სიღატაკე, უსამართლობა, ნამდვილი უკრაინა გავერანებული და დაობლებული დნეპრის დასტირისო, ამბობდა შევჩენკო.

როგორც ტ. შევჩენკოს, ისე ა. წერეთელს თავისი სამშობლოს უკვდავ ძალად მშრომელი ხალხი მიაჩნდა. ი. ჭავჭავაძის შესანიშნავად ნათქვამი სიტყვები: „უბრალო გლეხობა, ეს უმრავლესობა ქართველობისა, ეს სული და გული ჩვენი ეროვნული იმედებისა“, აკაკის პოეზიის სულსა და გულს წარმოადგენდა. გლეხობის სულისკვეთებისა და მისი ჭირვარამის გამომხატველ ლექსებიდან აკაკის უშესანიშნავესი შედევრები — „სიმინდსა თოხნა დაუწყოთ“, „გავლესოთ ძმებო ნამგალი“, „იმერული ნანინა“, „ყანაო, მუშის სამოთხეო“ — ტყუილად არ წარმოადგენდნენ ქართველი ხალხის საყვარელ სიმღერებს. ამ ლექსებში აკაკიმ ჩააქსოვა თავისი გულითადი სიყვარული მშრომელი ხალხისადმი, თავისი რწმენა.

1905 წლის რევოლუციურ აზვირთებაში აკაკი ხედავდა თავისი ნატვრის აღსრულებას:

„აღსრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში“.

რას ნატრობდა ა. წერეთელი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში? იგი ნატრობდა თავის, სამშობლოს განთავისუფლებას, და ამ ძვირფას ნატვრას მოახმარა მან თავისი მდიდარი შემოქმედება, თავისი უძლიერესი პოეტური ნიჭი.

სამშობლოსადმი სიყვარულით უდიდესი ტკივილებითაა გამსჭვალული ტ. შევჩენკოს უამრავი ლექსი, სადაც იგი მოსთქვამდა: „უკრაინა სტირის, მოსთქვამს სტირისო“ („პოლონელებს“). ნეტავ ისე არ მოვკვდებოდე, — სწერდა შევჩენკო გადასახლებაში ყოფნისას, — უკრაინას არ ვნახავდე, დნეპრის წყალს არ მოვსვამდეო („კაზაჩკოვსკის“). ამ მხრივ მისი ლექსები „მე გავიზარდე უცხო მხარეში“, „ჩემთვის ერთია“, „ანდერძი“, „ცივი იარი“, „კაზაჩკოვსკის“ და სხვა მრავალი უკრაინული პოეზიის მარგალიტებია.

აკაკის ისეთი ლექსები სამშობლოზე, როგორიცაა „ხატის წინ“, „სურვილი“, „სულიკო“, „ჰალარა“, „განთიადი“, „ნათელას სიმღერა“, „სატრფოს“, „მუხამბაზი“, ჩვენი პოეზიის უძვირფასესი საგანძურია.

ისევე როგორც შევჩენკოს, აკაკისაც სწამდა, რომ თავისუფალი ხალხი არ დაივიწყებს მათ ღვაწლსა და დამსახურებას. შევჩენკო თავის „ანდერძში“ თხოულობდა: როცა დადგეს ბედნიერი ცხოვრება, „ჩემზედაც სთქვით სიტყვა კეთილიო“. აკაკისაც შევჩენკოსავით უღვივოდა იმედი გულში: როდესაც სამშობლო გაიღვიძებს, მოიგონებს იმათ სახელსაც, ვინც გაჭირვების დროს არ ივიწყებდა მასაო.

ეს ორი დიდი პოეტი სხვადასხვანაირად, მაგრამ ერთნაირი შინაარსით გამოსთქვამდა თავის პოეტურ იმედს. მათ ღრმად სწამდათ, რომ მათი იდეალები ფრთებს შეისხამდნენ და გამარჯვებული ხალხი უკვდავყოფდა მათ სახელებს.

მართლაც ასე მოხდა: შევჩენკოს არასოდეს არ ივიწყებდა უკრაინის ხალხი, მაგრამ იგი ნამდვილად მხოლოდ სტალინურ ეპოქაში დააფასეს, დააფასეს მთელი თავისი სიდიადით და ბრწყინვალებით. ხოლო აკაკი წერეთელი, ქართველი ხალხის იმედების ბრწყინვალე პოეტი, უფრო მეტად შეიმოსა შარავანდედით ჩვენს დროში და გამოვიდა მშობლიური ლიტერატურის ფარგლებიდან ხალხთა ძმობისა და ბედნიერების დიდ გზაზე და ტ. შევჩენკოსთან ერთად გადაიქცა საყვარელ პოეტად სტალინური ძმობით გამთბარი საბჭოთა კავშირის თავისუფალი და ბედნიერი ხალხებისათვის.

მოძმე რესპუბლიკებში

კოსტა ხეთაგუროვის იუბილე

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირმა გამოჰყო საიუბილეო კომიტეტი კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლის შესრულების აღსანიშნავად.

კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას. თავის პირველ სხდომაზე კომიტეტმა მოისმინა ვრცელი მოხსენება ხეთაგუროვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

საიუბილეო კომიტეტმა დაავალა ვ. კაზინსა და ი. უტკინს — სთარგმნონ კოსტა ხეთაგუროვის ლექსები რუსულ ენაზე.

აზერბაიჯანის კლასიკოსები რუსულად

აზერბაიჯანის სახელმწიფო გამომცემლობა „აზერშენის“ რუსულმა სექტორმა 1939 წლის გეგმაში შეიტანა აზერბაიჯანის ლიტერატურის კლასიკოსების თხზულებათა რუსული თარგმანების გამოცემა.

განზრახულია გამოიცეს ფიზულის „ლეილი და მეჯნუნი“, ვაგიფისა და ზაქირის — რჩეულ ლექსების კრებულები, აზერბაიჯანული ლიტერატურის XI საუკუნის საუცხოვო ძეგლის „დედე კორკუტი“, ნაჯაფ ბეკ ვეზიროვის პიესები და სხვ.

სომხური ხალხური ზღაპრები

რუსეთის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა სომხური ხალხური ზღაპრების რუსული თარგმანის კრებული. წიგნში შეტანილი ზღაპრები ჩაწერილია უშუალოდ სომხეთის სოფლებში მთხრობელთა ნათქვამიდან. ზღაპრები შეარჩია, სთარგმნა და კომენტარიები გაუკეთა ი. ხაჩატრიანცმა. კრებულს წამძღვარებული აქვს მარიეტა შაგინიანის შესავალი წერილი.

ედუარდ ბაგრიცკის თხზულებები

რუსეთის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ედუარდ ბაგრიცკის თხზულებათა პირველი ტომი. ამ წიგნში დაბეჭდილია პოეტის 169 ნაწარმოები, რაც მას დაუწერია 14 წლის განმავლობაში—1915 წლიდან 1928 წლამდე. პირველ ტომს წამძღვარებული აქვს ი. სევრიუკის შესავალი წერილი: „ედუარდ ბაგრიცკი“, რომელშიაც ავტორი იძლევა პოეტის შემოქმედების ევოლუციას ადრინდელ უსაგნო რომანტიულ ლექსებიდან ისეთ ნაწარმოებებამდე, როგორიც არის „ფიქრები ათანასეზე“, „პიონერის სიკვდილი“, „უკანასკნელი ღამე“, რომლებიც შესულია საბჭოთა პოეზიის ოქროს ფონდში.

მეორე ტომში დაიბეჭდება 1929-1932 წლებში დაწერილი პოეტის თხზულებები. გარდა ამისა, ამავე ტომში გამოქვეყნდება მასალები პოეტის ბიოგრაფიისათვის და ბიბლიოგრაფია.

ახალი მოთხრობა „ჯემალი“

17 თებერვალს საქ. მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციაში მწერალმა ქალმა ა. ხახუტაშვილმა წაიკითხა თავისი ახალი მოთხრობა „ჯემალი“. მოთხრობა ასახავს იმ უდიდეს მზრუნველობას, რომელსაც იჩენს ჩვენი ქვეყანა უპატრონო ბავშვთა მიმართ. მოთხრობაში კარგად არის ნაჩვენები უპატრონო ბავშვის ჯემალის თავგადასავალი, უპატრონო ბავშვთა სახლში კომუნისტური და ინტერნაციონალური აღზრდის მომენტები. მოთხრობაში კარგად არის გადმოცემული ის გზა, რომელიც გაიარა ჯემალმა უპატრონობიდან საბჭოთა გამოჩენილ ადამიანად გახდომამდე.

მოთხრობის წაკითხვის შემდეგ თავიანთი აზრი გამოსთქვეს ი. გრიშაშვილმა, რ. ქორქიამ, პ. კეშელავამ, ერ. ასტვაცატუროვმა, მარიჯანმა, კ. დევდარიანმა, ი. სიხარულიძემ და სხვებმა. მწერლებმა ავტორს მისცეს მთელი რიგი არსებითი ხასიათის მითითებები. შენიშვნები ავტორმა მთლიანად გაიზიარა.

ჟურნალი „ჩვენი თაობა“ № 1

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „ჩვენი თაობა“ № 1. ჟურნალში მოთავსებულია: გაბრ. ჯაბუშანურის „ლენინს“ (ლექსი), ვ. სულაბერიძის „ნარიყალა თერთმეტ სართულიან სახლიდან“ (ლექსი), ვიქტორ გაბესკირიას „ტბასთან“ (ლექსი), სემენ სკლიარენკოს „აირა ოლრიჯი“ (მოთხრობა ტ. შევჩენკოს ცხოვრებიდან, თარგმ. ნ. აგიაშვილისა), ლადო ასათიანის რამდენიმე ლექსი, რევაზ მარგიანის „სვანები ძველს იმერეთში“ (ლექსი), კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ (ფრაგმენტი), ალეკო შენგელიას „ყრმობის დღეები“ (ლექსები), ია ჩხაიძის „ცხრა შვილის მამა“ (მოთხრობა), რედიარდ კიპლინგის „ბალადა ფიშერის ღამის ბინისა“ (თარგმნ. ინგლისურიდან გ. გაჩეჩილაძისა).

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში მოთავსებულია წერილები: შ. რადიანისა — „შალვა დადიანი“, შ. დადიანისა — „წერილი ახალგაზრდა მკითხველისადმი“, გ. მებუკესი — „ნიკო ნიკოლაძე“, პ. კეშელავასი—„ლავრენტი არდაზიანი“ და ბიბლიოგრაფია გ. ერისთავის თხზულებაზე.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ლექციები

საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმი აწყობს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ლექციების ციკლს მეცნიერ და ხელოვნების მუშაკთათვის.

ლექციების ციკლის პირველი სერია ეხება შემდეგ თემას: „საქართველოს მატერიალური კულტურა, კერძოდ მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში“. ყოველი ლექცია ჩაწერილი იქნება სტენოგრაფიულად, რის შემდეგაც გამოიცემა ცალკე წიგნად.

აფხაზეთის მხატვართა კავშირი

აფხაზეთის სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოში შესდგა აფხაზეთის მხატვართა საორგანიზაციო თათბირი, რომელზედაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზეთის მხატვართა კავშირს. კავშირის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ამხ. გიორგაძე. კამათში გამოსული მხატვრები აღფრთოვანებით მიესალმნენ კავშირის დაარსებას. მათ მრავალი პრაქტიკული წინადადება შეიტანეს მხატვართა შემოქმედებითი მუშაობის გასაშლელად.

თათბირმა აირჩია კავშირის გამგეობა და სარევიზიო კომისია.

თათბირზევე დადგენილ იქნა მოკლე ხანში სოხუმში მოეწყოს საქართველოს თვალსაჩინო მხატვართა სურათების გამოფენა.



საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა სცემს ორდენოსანი პოეტის ა. მაშაშვილის პოემა „ენგური“. წიგნი ილუსტრირებულია მხატვარ ს. კეცხოველისა და ლურიეს მიერ.

ახალი წიგნები

კრებული ილია ჭავჭავაძეზე

უნივერსიტეტის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კრებული. ეს წიგნი უნდა გამოსულიყო ილიას საიუბილეო დღეებში. როგორც წინასიტყვაობიდან სჩანს, წიგნის გამოცემამ დაიგვიანა რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მიუხედავად დაგვიანებისა, გამომცემლობა კარგად მოქცეულა, რომ ეს კრებული მაინც გამოუცია და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გაუხდია. კრებულში მოთავსებულია მეტად საინტერესო მასალა.

წიგნში მოთავსებულია კრიტიკული წერილები, რომლებიც არკვევენ ილიას მსოფლმხედველობასა და მისი მხატვრული მემკვიდრეობის ცალკეულ მხარეებს.

ფართოდ არის წარმოდგენილი მოგონებები ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების გარშემო.

პირველ განყოფილებაში მოთავსებულია შემდეგი წერილები: პროფ. აკ. შანიძე — „ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვიდრებისათვის“, პროფ. მიხ. ზანდუკელი — „ილია ჭავჭავაძე, როგორც სატირიკოსი“, პროფ. ს. ხუნდაძე—„ილია ჭავჭავაძე და ბატონყმობის საკითხი“, ი. გრიშაშვილი—„ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, შ. რადიანი — „ი. ჭავჭავაძე—კრიტიკოსი“, დოც. ვ. კაკაბაძე—„ი. ჭავჭავაძე ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, გ. აბზიანიძე — „ილია ჭავჭავაძე, როგორც ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მოღვაწე“, პროფ. მ. ზანდუკელი—„ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოების ახალი ავტოგრაფები“, პროფ. გ. თავზიშვილი — „ილია ჭავჭავაძე და აღზრდის პროცესი“, დოც. პ. გუგუშვილი — „ივერია“ ცენზურის რკალში“, პროფ. ალ. ბარამიძე — „ილია ჭავჭავაძე და „ვისრამიანი“, დოც. ანა ჩხეიძე—„ილია და ლერმონტოვი“, ნიკო ტატიშვილი — „ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა“, ნ. ურუშაძე — „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პარალელები ფრანგულ ლიტერატურიდან“, აპოლონ მახარაძე — „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურულ შეკრება-საღამოებზე“.

მეორე განყოფილებაში (მოგონებები) დაბეჭდილია: არტემ ახნაზაროვი — „ილია ჭავჭავაძე და მისი დრო“, ილია ზურაბიშვილი—„წარსულის ანარეკლი“, თ. სახოკია — „ილია ჭავჭავაძე“, ეკ. გაბაშვილი—„კომისიას, რომელიც აწარმოებს ილია ჭავჭავაძეზე მოგონებათა შეგროვებას“, ალ. მიქაბერიძე — „მოგონება ილია ჭავჭავაძეზე“.

მესამე განყოფილებაში თავმოყრილია მასალები და დოკუმენტები. აქ დაბეჭდილია პოემა „აჩრდილის“ ვარიანტი, პიესა „მაჭანკალი“, ილიას კერძო წერილები, ილიას ბიბლიოგრაფია, ცენზურის მასალები „ივერიის“ შესახებ და საკუთარ სახელთა საძიებელი.

კრებულის რედაქტორებია—პროფ. მ. ზანდუკელი და დოც. ვ. კაკაბაძე.

წიგნი შეიცავს 430 გვერდს და ღირს 17 მანეთად.

„რამოს ძმისწული“

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა ცნობილი ფრანგი მწერლის დენი დიდროს „რამოს ძმისწული“. დიდროს ეს ნაწარმოები ქართულად პირველად გამოდის, იგი თარგმნილია ფრანგულიდან ქეთევან ირემაძის მიერ.

დიდროს „რამოს ძმისწულს“ აღტაცებაში მოჰყავდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები.

„რამოს ძმისწული“ დიდრომ დასწერა 1762 წელს. მან თავის სიცოცხლეში ვერ მოახერხა ამ შესანიშნავი ნაწარმოების გამოცემა. 1805 წელს, შილერის რჩევით, იგი ფრანგულიდან სთარგმნა გოეთემ და პირველად გერმანულად იქნა გამოცემული. მანამდე კი ხელნაწერებით ეცნობოდა ამ ნაწარმოებს ლიტერატურული საზოგადოებრიობა.

ფრანგულ ენაზე „რამოს ძმისწულის“ რამდენიმე ვარიანტი არსებობს.

„რამოს ძმისწული“ ფრანგულად გამოცემულ იქნა პირველად მხოლოდ 1823 წელს.

ქართულ გამოცემას წამძღვარებული აქვს ა. ქუთელიას კრიტიკული მიმოხილვა: „დენი დიდრო და მისი ნაწარმოები „რამოს ძმისწული“.

წიგნს დართული აქვს შენიშვნები. წიგნი შეიცავს 130 გვერდს და ღირს 5 მან. და 75 კაპ.

კალე ბობოხიძის ლექსები რუსულად

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა პოეტ კალე ბობოხიძის ლექსების კრებული რუსულად „სიხარულის სიმღერები“.

წიგნი შესდგება შემდეგ განყოფილებებისაგან: „ბრძოლებითი ლექსები“, „ახალგაზრდული სიცოცხლე“, „ლექსები სამშობლოზე“, „მხედრული ლექსები“ და „სტალინური კონსტიტუცია“. წიგნი გამოვიდა ორდენოსან პოეტის ვალ. გაფრინდაშვილის რედაქციით.

წიგნი დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე და ღირს 3 მან. და 25 კაპ.

მარიკა მიქელაძის ლექსები

გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა მარიკა მიქელაძის ლექსების წიგნი. წიგნში დაბეჭდილია 27 ლექსი. შეიცავს 88 გვერდს და ღირს 3 მან. და 70 კაპ.

„იავნანამ რა ჰქმნა“

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა სცემს იაკობ გოგებაშვილის პოპულარულ მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა“. წიგნი გამოდის შ. მაყაშვილის ფერადი ილუსტრაციებით.

ვაჟა-ფშაველას ნაწერების მეექვსე ტომი

ალ. აბაშელის რედაქციით გამოვიდა ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მეექვსე ტომი. ამ წიგნში მოთავსებულია ვაჟას მოთხრობები, გამოქვეყნებული 1896-1914 წლამდე. ამ წიგნით მოთავდა ვაჟას მხატვრული პროზა.

ახლად გამოსულ მეექვსე ტომში დაბეჭდილია 56 მოთხრობა, რამდენიმე ნაკვესი და სცენა.

წიგნს დართული აქვს ვარიანტები, შენიშვნები და ბიბლიოგრაფია. წიგნი შეიცავს 560 გვერდს და ღირს 14 მან. და 40 კაპ.

პიონერების შეხვედრა პოეტ ი. გრიშაშვილთან

16 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ტფილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა კლუბში მოეწყო რაიონის პიონერ-აქტივის შეხვედრა პოეტ იოსებ გრიშაშვილთან. შეხვედრა მოაწყო კლუბის გამგეობამ და კლუბთან არსებულმა მშობელთა საბჭომ.

შეხვედრამ მეტად შინაარსიანად ჩაიარა. მოხსენება პოეტის შემოქმედებაზე წაიკითხა მშობელთა საბჭოს წევრმა მასწავლებელმა ჩუნდაძემ. მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მოსწავლეები.

კლუბთან არსებული მხატვრული წრის წევრებმა, მხატვრული კითხვის ნორჩმა ოსტატებმა თაბუკაშვილმა, ჩოჩიამ, ხუნდაძემ და სხვებმა წაიკითხეს გრიშაშვილის საბავშვო ლექსები. დასასრულ, გრიშაშვილმა წაიკითხა ძველი და ახალი, ჯერ გამოუქვეყნებელი საბავშვო ლექსები და წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, [illegible] პოეტმა მადლობა გადაუხადა ბავშვებს გულთბილი შეხვედრისათვის და სთქვა:

— მე მიყვარს ბავშვები. ეს სიყვარული განსაკუთრებით გააძლიერა ჩემში იმ უსაზღვრო ზრუნვამ ბავშვებზე, რომელსაც იჩენენ ჩვენი პარტია და მშობლიური სტალინი. სტალინურმა ეპოქამ და დიდი სტალინის მშობლიურმა ზრუნვამ საშუალება მომცა მთელი არსებით განმეცადა ბედნიერი ბავშვების სიხარული და მომეცა იგი ჩემს ლექსებში.

გიორგი ქუჩიშვილის საღამო

ტფილისის მე-2 სკოლაში 29 იანვარს გაიმართა გ. ქუჩიშვილის საღამო. საღამოს დაესწრო მშობელთა წრის წარმომადგენელი. უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ორდენოსანი ა. წიკლაური.

გ. ქუჩიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა რ. ქორქია. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ანა ხახუტაშვილმა და წაიკითხა გ. ქუჩიშვილისათვის მიძღვნილი მოთხრობა. საბავშვო ჟურნალების სახელით ილაპარაკა ლ. ჭიჭინაძემ, რომელმაც აღნიშნა გ. ქუჩიშვილის ნაყოფიერი მუშაობა საბავშვო ჟურნალებში.

ბავშვები აღფრთოვანებით მიეგებნენ გ. ქუჩიშვილს, წაიკითხეს პოეტისათვის მიძღვნილი ლექსები. დასასრულ გ. ქუჩიშვილმა ბავშვებს მადლობა გადაუხადა და წაიკითხა რამდენიმე ლექსი. ბავშვები მქუხარე ტაშით შეხვდნენ პოეტის გამოსვლას.

საზღვარგარეთ

ფსევდო-შექსპირი

ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში არის ოთხი საინტერესო ფიგურა, რომლებმაც სახელი გაითქვეს როგორც ლიტერატურის ყალბისმქნელებმა.

უილიამ აირლენდი ანტიკვარისა და ბუკინისტის შვილი იყო. გაატარა რა თავისი ბავშვობა ძველ წიგნებსა და ხელნაწერებს შორის, ლიტერატურულად ყალბი დოკუმენტი მან პირველად გამოაქვეყნა ჯერ კიდევ ოცი წლის ახალგაზრდამ. პირველად მან ერთ ძველ წიგნზე გააკეთა შექსპირის ავტოგრაფი. ამის გარშემო ატყდა მითქმა-მოთქმა. ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ ავტოგრაფი ნამდვილად შექსპირისაა. სიყალბის წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. აირლენდმაც მიაგნო თავის საქმეს. მალე ავტოგრაფს მოჰყვა „შექსპირული“ წერილები და სხვა საბუთები, რომლებიც ვითომდა ინგლისის უდიდესი დრამატურგის შექსპირის ხელით იყო დაწერილი. აირლენდმა სამაგალითოდ შეისწავლა ელისაბედის ეპოქის სტილი და ორთოგრაფია, რის გამოც შესძლო შექსპიროლოგების კვლავ მოტყუება.

ყალბისმქნელი ამით არ დაკმაყოფილდა. მან გაბედა და დასწერა „მეფე ლირის“ ვარიანტი და საკუთარი პიესაც კი—„ვორტინგერნის მეფის“ სახელწოდებით, რომელიც მან შექსპირის კალამს მიაკუთვნა. ეს პიესა, აირლენდის თანამედროვეთა სიტყვით, იმდენად კარგად იყო შექსპირისებურად დაწერილი, რომ ისეთი ცნობილი დრამატურგი, როგორიც შერიდანი იყო, შეცდომაში შეიყვანა. შერიდანმა ამ პიესას რეკომენდაცია გაუკეთა დრურილეინის თეატრში დასადგმელად.

პიესა დაიდგა, მაგრამ მხოლოდ ერთხელ, პრემიერის დღეს გამოჩენილი შექსპიროლოგი მელოუნი გამოვიდა მამხილებელი მოხსენებით და დაამტკიცა, რომ აირლენდის „აღმოჩენა“ მთლად სიყალბეა.

აირლენდი გადარჩა სასამართლოს მსჯავრს და აყალ-მაყალს მხოლოდ იმიტომ, რომ შარიდანმა შეიცოდა იგი და მოითხოვა „ეპატიოს ნიჭიერ ახალგაზრდას ნიჭიერი ცოდვაო“.

აირლენდის ბიოგრაფია გამოიყენა ინგლისელმა მწერალმა ჯონ მეიერმა და დასწერა რომანი „მეოთხე ყალბისმქნელი“. აღნიშნული რომანი გამოსცა ლონდონის გამომცემლობამ.

რომენ როლანის ახალი წიგნი

პარიზის ინტერნაციონალური სოციალური გამომცემლობა სცემს რომენ როლანის წიგნს ვალმის ბრძოლის შესახებ. ეს წიგნი დაწერილია ახალგაზრდობისათვის საფრანგეთის რევოლუციის 150 წლისთავთან დაკავშირებით. წიგნი გამოცემული იქნება ალბომის სახით მრავალი ილუსტრაციით.

„იუმანიტეს“ აზრით, რომენ როლანი გატაცებით აღწერს იმ მოვლენებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ ვალმთან ბრძოლას და შეტაკებას, რომლის დროსაც ფეოდალებისა და მონარქისტების არმიას უკან დაახევინა რევოლუციის ახალგაზრდა სახალხო არმიამ.

წიგნი საბჭოთა თეატრზე

ლონდონში გამოვიდა ცნობილი ინგლისელი თეატრალური კრიტიკოსის ნორის ხოუტონის წიგნი „მოსკოვური რეპეტიციები“ ავტორის სიტყვით, ეს წიგნი შედეგია მისი საბჭოთა კავშირში მოგზაურობისა, სადაც მან „დაბეჯითებით შეისწავლა საბჭოთა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება, მისი ორგანიზაცია, მეთოდები და სხვ“. ხოუტონი დაწვრილებით ანალიზს უკეთებს მოსკოვისა და ლენინგრადის თეატრების საუკეთესო დადგმებს, აქტიორთა თამაშს, რეჟისორისა და მხატვრის ნამუშევრებს.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსკოვის სამხატვრო თეატრის ნამუშევარს, რომელიც, ავტორის აზრით, ღირსია არა მარტო აღფრთოვანებისა, არამედ დეტალური შესწავლისა, როგორც მსოფლიო თეატრალური ხელოვნების ყველაზე უფრო სრულყოფილი ნიმუშები.

გრიბოედოვი საქართველოში

ი. ბალახაშვილი

1818 წლის 28 აგვისტოს ა. ს. გრიბოედოვმა დასტოვა პეტერბურგი და კავკასიისაკენ გამოემართა. ამავე წლის 21 ოქტომბერს ის უკვე ტფილისში იყო.

გრიბოედოვი ირანისაკენ მიემგზავრებოდა. ირანში დანიშნული მისია შემდეგი წლის იანვრამდე დარჩა ტფილისში და მხოლოდ 1819 წლის თებერვლის შუა რიცხვებში წავიდა თავრიზში.

თავრიზში შეუდგა გრიბოედოვი თავისი პიესის „ვაი ჭკუისაგან“ შექმნას. 1821 წელს იგი კვლავ ტფილისში ჩამოვიდა. ამ დროს ეკუთვნის გრიბოედოვის დამეგობრება ს. ნ. მურავიოვთან და კ. კიუხელბეკერთან. კომედიაზე მუშაობას ტფილისშიაც განაგრძობდა. თავისი კომედიის ყოველ ახალ ადგილს გრიბოედოვი უკითხავდა შემდეგში ცნობილ დეკაბრისტს მწერალ კიუხელბეკერს.

1823 წლის 5 აგვისტოს გრიბოედოვმა ოთხთვიანი შვებულება მიიღო და რუსეთს წავიდა. იქ გრიბოედოვმა დაასრულა თავისი „ვაი ჭკუისაგან“-ის პირველი რედაქცია, რომელიც მაშინვე ხელთნაწერებად გავრცელდა. მალე გრიბოედოვი ჩაბმულ იქნა დეკაბრისტთა მოძრაობაში, მაგრამ საგამომძიებლო კომისიამ ხელმისაკიდი ვერაფერი ჩაიგდო და იგი მალე გაანთავისუფლეს.

გამოძიებისაგან განთავისუფლებული გრიბოედოვი 1826 წლის 3 სექტემბერს პოეტ დენის დავიდოვთან ერთად ტფილისში დაბრუნდა. ცხოვრობდა მაშინ იგი ეგზარხოსის მოედანზე, ალექსანდრე ვახტანგისძე ორბელიანის შენობის მახლობლად მდებარე პატარა სახლის ზემო სართულის ორ ოთახში.

აქ გაუკეთა მან საბოლოო რედაქცია თავის „ვაი ჭკუისაგან“-ს. კომედიაზე მუშაობის გარდა, ის ჰქმნიდა სხვადასხვა სახის მუსიკალურ ნაწარმოებებს და უკრავდა მურავიოვისაგან შეძენილ ფორტეპიანოზე, რომელიც რიცხვით მესამე იყო მაშინ ტფილისში (ერთი ედგა ალექსანდრე ჭავჭავაძეს, მეორე პრასკოვია ნიკოლოზის ასულ ახვერდოვას).

ყველას მიერ და ყოველთვის საყვარელი გრიბოედოვი საპატიო სტუმარი იყო ტფილისის წარჩინებული ოჯახებისა. მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად დადიოდა იგი გენერალ ხოვენთან და გენერალ-მაიორ ახვერდოვის ქვრივთან, რომელსაც იმ ხანად პატარა პანსიონი ჰქონდა გახსნილი. ამ პანსიონში იზრდებოდნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილები: ნინო, ეკატერინე და დავითი, პრასკოვია ნიკოლოზის ასულის გერი ეგორუშკა, ანნა ანდრიას ასული ახვერდოვა, მარიამ ივანეს ასული ორბელიანი, სოფიო ივანეს ასული ორბელიანი, ვარინკა გიორგის ასული თუმანიშვილი, დიასახლისის ქალიშვილი — დარია და სხვები.

დარია თეოდორეს ასული ახვერდოვა-ხარლამოვისა გადმოგვცემს: „გრიბოედოვი ხშირად მოდიოდა სტუმართმოყვარე ახვერდოვებთან და ერთობოდა მუსიკით. უკრავდა არა მარტო თავისთვის, არამედ იმ მოზრდილებისა და ბავშვებისთვისაც, რომლებიც მრავლად ცხოვრობდნენ გენერლის მეუღლესთან დიდ ბინაში.

პრასკოვია ნიკოლოზის ასულთან მცხოვრებ ბავშვებიდან გრიბოედოვი თავიდანვე რაღაც განსაკუთრებული თავაზიანობით ეპყრობოდა ნინო ჭავჭავაძეს და აძლევდა მას რჩევასა და მითითებას მუსიკაში. ეს თავაზიანობა ახალგაზრდა მოწაფისადმი მალე ტრფობად გადაექცა გრიბოედოვს. 1828 წლის 16 ივლისს ალექსანდრე გრიბოედოვმა სიყვარული გაუცხადა ნინო ჭავჭავაძეს და იმავე დღეს დანიშნა იგი. მეორე დღეს გრიბოედოვი ახალქალაქში წავიდა პასკევიჩთან ირანის საქმეებზე მოსალაპარაკებლად და მხოლოდ 4 აგვისტოს დაბრუნდა უკან, ტფილისში. ორი დღის შემდეგ იგი ავად გახდა ციებით. 7 აგვისტოს მან საღამო გენერალ ხოვენთან გაატარა და ვახშამზე დარჩა, თუმცა თავს მეტად ცუდად გრძნობდა და სახლში მისვლისთანავე ლოგინში ჩაწვა.

ავადმყოფობისაგან მომჯობინებული პოეტი ჯვრის წერის დაჩქარებას შეუდგა.

ჯვრისწერა სიონის ტაძარში მოხდა. საღამო ჟამს შეუღლების ცერემონიალის მთელ მანძილზე ციება ძალზე აწუხებდა გრიბოედოვს. ქორწინების მეორე დღეს პასკევიჩთან გაგზავნილ ბარათში პოეტი სწერდა: „გუშინ მე ვფიქრობდი, რომ ორ პაროქსიზმს შორის საშუალება მომეცემოდა ჯვარი დამეწერა ავადმყოფობის შემოტევამდე, მაგრამ მოვტყუვდი. სწორედ იმ დროს, როცა გვირგვინი უნდა დამედგა თავზე, ისე შემახურა, რომ კინაღამ უარი ვსთქვი ქორწინებაზე: როცა ჯვარს გვწერდნენ, ფეხზე ძლივს ვიდექი“.

იმდენად შეუძლოდ იყო გრიბოედოვი, რომ ბეჭდების შენაცვლების დროს თავისი ბეჭედი ხელიდან დაუვარდა და ბევრი ძებნის შემდეგაც კი ვეღარ იპოვნეს. ამან ძალზე შეაკრთო იქ მყოფნი და თვითონ გრიბოედოვიც.

9 სექტემბერს გრიბოედოვი ცოლით და უშველებელი ამალით, რომელსაც ერევნამდე მიჰყვებოდნენ სიდედრი სალომე ჭავჭავაძე და ექიმი უმისსა, დაიძრა ტფილისიდან.

7 ოქტომბერს მისია ჩავიდა თავრიზში. აქ მინისტრ-რეზიდენტს თავის ამალითურთ შეეგება თვითონ აბაზ-მირზა, სპარსელი პრინცი, რომელსაც გრიბოედოვმა გადასცა იმპერატორ ნიკოლოზ პავლეს-ძის მიერ რატიფიცირებული ტრაქტატი.

თავრიზში ყოფნის მთელი ორი თვის განმავლობაში გრიბოედოვი გართული იყო დიპლომატიური საქმეებით და მხოლოდ საღამოობით იცლიდა ოჯახისათვის. მიკლაშევიჩის ქალთან გაგზავნილ ბარათში გრიბოედოვი სწერდა: „დამქანცველი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ ვავმარტოვდები ხოლმე ჩემს ბინაში. იქ მყავს მე ერთ ძვირფას სახებაში გაერთიანებული დაი, მეუღლე და ქალიშვილი. ვუამბობ სხვადასხვა ამბავს. ვაცნობ ყველა იმას, ვინც მან ახლო ხანში პირადად უნდა ნახოს და გულწრფელად შეიყვაროს. ჩვენს საუბარში თქვენი სახელი ხშირად იხსენიება. შეიყვარეთ ჩემი ნინიკო. გინდათ იცნობდეთ? მალმეზონის ერმიტაჟში შესვლისთანავე მარჯვენა მხარეს სდგას მურილიოს მწყემსი-ქალის მაგვარის ღვთისმშობლის ქანდაკება — აი იგი“.

გრიბოედოვისათვის აუცილებელი იყო თეირანში წასვლა. ნინოს კი სტანჯავდა ფეხმძიმობის ყველაზე უფრო საშინელი სახე, და ფეხმძიმე ქალის დატოვება მეტად ძნელი იყო პოეტისათვის. მაგრამ სხვა გზა არ იყო, და ალექსანდრე გრიბოედოვი დამორჩილდა ბედს. ავადმყოფი მეუღლე მან ინგლისის ელჩის მაკდონალდის მეუღლეს ჩააბარა, ხოლო თვითონ 9 დეკემბერს თავრიზიდან თეირანს გაემართა.

ახალწლისათვის გრიბოედოვი უკვე თეირანში იყო. თავდაპირველად ყველაფერი რიგზე მიდიოდა. შაჰი თავაზიანად ეპყრობოდა ელჩს. მართავდა მის პატივსაცემად დღესასწაულებს, უგზავნიდა ძვირფას საჩუქრებს, უბოძა ლომისა და მზის პირველი ხარისხის ორდენი. მაგრამ როცა საქმე ტყვეების დაბრუნებას შეეხო, ყველაფერი აირია, და დღითიდღე ურთიერთობა ირანელებთან მწვავდებოდა.

29 იანვარს საღამოთი გრიბოედოვმა უკარნახა მალცოვს მირზა-აბულ-ჰასან-ხანისადმი მიმართული ნოტა, რომელშიაც გამოსთქვა თავისი გადაწყვეტილება ირანიდან წასვლის შესახებ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შესრულება მას არ დასცალდა. მეორე დღეს გრიბოედოვი რუსეთის საელჩოს სხვა წევრებთან ერთად ირანელი ბრბოს მიერ ვერაგულად იქმნა მოკლული თეირანში. როცა თავრიზში რუსეთის მისიის დაღუპვის ამბავი მივიდა, გადასწყვიტეს ნინოსთვის დაემალათ გრიბოედოვის სიკვდილი და შეეცადნენ უვნებლად წამოეყვანათ იგი ტფილისში მოსარჩენად.

ტფილისში ჩამოსულმა ნინომ შემთხვევით გაიგო ქმრის ტრაგიკული დაღუპვა. იმ წამსვე საშინელი ისტერიკა აუვარდა. მეორე დღეს კი დაიბადა დღენაკლული ვაჟი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე საათს იცოცხლა.

გრიბოედოვის დაღუპვის ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა კავკასიასა და რუსეთში. პოეტის ქვრივს ნინოს და სიმამრს ალექსანდრე ჭავჭავაძეს სხვადასხვა მხრიდან უამრავი სამძიმრის ბარათი მოსდიოდათ. თეირანში კი გრიბოედოვის აკუწული გვამი უპატრონოდ ეგდო. საჭირო იყო ირანელებისაგან ცხედრის გამოთხოვა და წამოსვენება. დაიწყო მოლაპარაკება. ნებართვის მიღებისთანავე გრიბოედოვის გვამი წამოიღეს თეირანიდან.

17 ივნისს ურემი გრიბოედოვის ცხედრით ტფილისს მიუახლოვდა, მაგრამ ხოლერიანობის გამო ცხედარი რამდენიმე საათით კარანტინში დაასვენეს. იმავე დღეს საღამოთი მოხდა გრიბოედოვის გვამის ტფილისში გადმოსვენება.

„სამგლოვიარო პროცესიაში, — გადმოგვცემს დამსწრე, — იყო რაღაცნაირი სიდიადე, რომელიც წარმოუდგენლად ასევდიანებდა ადამიანის გულს: ჩირაღდნებით განათებული ღამის წყვდიადი, თეთრ ჩადრებში გახვეული მოტირალი ქალები, სამღვდელოების გაბმული გალობა, ბანებზე გადმომდგარი ხალხი, მოგონება გრიბოედოვის ტრაგიკული დასასრულისა, — ყველაფერი ეს შემაძრწუნებლად მოქმედებდა განსვენებულის ნაცნობებსა და თაყვანისმცემლებზე. უდროოდ გაუბედურებული, ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა ქვრივი თავის მშობლებთან და ნათესავებთან ერთად ქალაქის სადარაჯოსთან ელოდებოდა პროცესიას. პირველი ჩირაღდნის შუქმა აცნობა მას ძვირფას ნეშტის მიახლოვება. ის მაშინვე გულშეწუხებული დაეცა მიწაზე და დიდხანს გონზე არ მოსულა“.

ღამე იყო, როდესაც ცხედარი სიონის ტაძარში დაასვენეს. ხოლო მეორე დღეს, წირვის გადახდის შემდეგ, გრიბოედოვის ცხედარი დიდი ცერემონიალით მთაწმინდაზე ასვენეს და მიწას მიაბარეს. ამგვარად აღსრულდა გრიბოედოვის მიერ ირანში წასვლის წინ მეუღლისათვის ხუმრობით ნათქვამი სიტყვები: „თუ სპარსეთში მოვკვდე, ნუ დასტოვებ იქ ჩემს ძვლებს, ტფილისში, მამადავითის მონასტერში დამკრძალე“.

პოეტის დამარხვისთანავე ნინო ჭავჭავაძე ლოგინად ჩავარდა და თითქმის წელიწადნახევარზე მეტხანს იავადმყოფა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მე შევიძინე ნინო ალექსანდრეს ასულის მიერ ავადმყოფობის უკანასკნელ ხანებში ჭავჭავაძიანთ ოჯახთან დაახლოვებულ დიმიტრი დავითის-ძე ჯორჯაძესთან მიწერილი ლექსი და ბარათი.

ნინო ჭავჭავაძის პოეტური ცდები დღემდე ცნობილი არ იყო. ეს ლექსი იქნებ პირველი და უკანასკნელი კალმის ნავარჯიშებია მარტოობაში მყოფ ავადმყოფ ქალისა:

„ბრწყინვალე კნიაზო:
დიმიტრი დავითისძევ!
თვრამეტის თვისა სნეულს,
თქვენგან წყალობის ჩვეულს,
მადლისა მოგონება,
მესამედ გაგონება,
ვედრივარ ცუდსა საკანსა,
ხელთ ვერ ვიღებ კალამსა.
ძვლად მონად მომიკითხე,
მცირედით გამიკითხე,
მეც ვყო ღვთისა გალობა.
და ოქროვნების შევედრება.

წმინდა სახარება სწერს: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“. მეც ბევრნი მიცნობენ და ვცნობ, მაგრამ ჩემს თავს ღმერთმან მწუხარების ნუგეშად თქვენ გამოგარჩიათ. თუ ამ გაზაფხულზედ ვიხილავ და პირად მადლობა მოგახსენოთ, ხომ კარგი, და თუ მოვკვდი, მეც შემაერთოს იმ არსთა, რომელნიც თქვენის შრომის წყალობით ჰსარგებლობენ.

მარადის ერთგული მონა თქვენი
სიკვდილამდე ნინა გრიბოედოვა.
20 მარტი“.

სნეულებისაგან განკურნებულმა ქვრივმა დასტოვა სახლი, რომელშიაც მხოლოდ მცირე ხანი იცხოვრა ბედნიერებაში, და თავის მამის სახლში დაბრუნდა.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 13 (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3097